

K 17194
1a

11

9(47.93)
რ-90.

9(47.93)
რ-90

რუსეთის დამყარება

საქართველოში

1019
7238

46194
10
K

Инвентарная
Часть
на стр.
подъ №

90
K1

ლი
К. Я. Зуб
საქართველო
საქართველო
საქართველო

თბილისი

მსწრაფლ-მგებლადი არ. ქუთათელაძისა ნიკ. ქ. № 24

1905 წ.

Дозволено цезурою Тифлисъ 1905 гола 9 Февраля.

წინასიტყვაობა.

უიმედობა და უაზრობა, თავის თავის არ დაფასება და სხვისი, უღირსის, ქება და ღიღება, საკუთარის გზის, თავისი მერმისის უარყოფა და სხვის კალთაში თავის შეფარება—აი რას ვხედავდით დღემდის, ჩვენ ცხოვრებაში. საიდან გაჩნდა ეს უილაჯობა, როგორ გაიღვა ფესვები ჩვენ განებაში თავის თავის უარყოფამ? ეს კითხვა ჩვენთვის მეტად საყურადღებოა. ერთი მხრით მუდამ გვგმის—ჩვენი ისტორია მეტად ხანგრძლივია, ორი ათასი წელიწადია თავისი ვინაობა გამოვარკვევით და ისტორიულ გზაზე ფეხი შევდგით, მეორე მხრით კი გავოცდებით ის გარემოება, რომ ამდენი ხნის არსებობამ ჩვენში ვერ შექმნა საგრძნობელი ტრადიცია, ვერ შეგვავყვარა ჩვენი თავი იმდენათ, რომ თავისი ღირსების და პირადობის დაფასება ვიცოდეთ. რა საკვირველია, ამ გარემოებას ღრმა საფუძველი აქვს ჩვენს წარსულში და მის ასახსნელათ აუცილებლათ საჭიროა ამ წარსულის შესწავლა და გათვალისწინება. უნდა გამოვტყდეთ, რომ საზოგადოთ ჩვენი მოქალაქეობრივი ცხოვრების ისტორია ჯეროთითქმის ხელ-უხლებელ მასალას წარმოადგენს, განსაკუთრებით ის ხანა, რომელმაც ორად ვაყოფა ჩვენი ისტორია; ესაა დრო რუსეთის დაშვარება.

ჩვენში. ამ დამყარებამ გაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის ძაფი და ჩვენი სამშობლო აქცია რუსეთის უბრალო ოლქად. რა საკვირველია, ასეთ ძირითად ცვლილებას ღრმა გავლენა ქონდა ჩვენ ცხოვრებაზე, მან დაარღვია მთელი ჩვენი ძველი არსებობის სისტემა და მოგვითხოვა ახალ პირობებს, ახალ განწყობილებას შევთვისებოდით. საზოგადოთ, ძნელია ხალხის ისტორიულ გზის ასეთი უეცრივით მოწყვეტა. ის ბადებს ხალხში ბევრ ტკივილებს, მოითხოვს ბევრ მსხვერპლს. განსაკუთრებით ითქმის ეს ჩვენზე. ფეოდალურ-პატრიარქალური ცხოვრება ხელად შეიცვალა აბსოლუტურ, პოლიციური რეჟიმით. და ეს შეცვლა მოხდა არა ხალხის რომელიმე ელემენტის მეოხებით: არამედ გარეშე ძალის შემწეობით, ასეთი ძალის, რომელიც ნაკლებათ უკვირდებოდა, ნაკლებათ ეთვისებოდა და იცნობდა თავის საზრუნველ საგანს. ჯიქური მსვლელობა, შეუცვალელობა — აი რა ახასიათებს ამ ხანას. ეჭვი არაა, ამ უღმობეღომა ძალამ ერთიანათ დაიმონა ჩვენი არსებობა, გააძლიერა ჩვენში უძლურება და უსასოება. ამიტომაც ჩვენ მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია ამ ხანის გაცნობა: 1901 წ. დაიბეჭდა მთავარმართებლის განკარგულებით ერთი რუსის მკვლევარის ვ. ნ. ივანენკოს ვრცელი შრომა; რომელიც შეეხება ჩვენ მოქალაქეობრივ ცხოვრებას გასულ საუკუნის პირველ ნახევარში, ლაპარაკი არ უნდა, რომ როგორც შთამამავლობა, ისე მინდო-

ბილგება გვიჩვენებს, რომ ამ წიგნში ქართველების მოდგომას ჩვენ ვერ ვიპოვით, ვერ ვიფიქრებთ, რომ ავტორს ჩვენ და სასარგებლოთ რაიმე ფაქტი გაეზვიადებოდა გადაემახინჯებოდა, ან გადაეფუჭებოდა ასეთი ეჭვისთვის ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს! მით უფრო საყურადღებოა მოვისმინოთ ჩვენის გაქირვების ამბავი რუსის მოხელე—ავტორის პირით. ამიტომ ჩვენ ამოვკრიბეთ შემოკლებით ყველა საქართველოს შესახებ ცნობები და არსად ავტორის შეხედულება არ შეგვიცვლია, მხოლოდ აქ საქმე როდ მიგვაჩნია, რამდენიმე სიტყვით მოვიხსენოთ ჩვენი წარსულის ის გარემოებანი, რომელმაც მოუშადა ნიადაგი საქართველოს დაცემას.

ყოველი ხალხი თავის საზოგადოებრივ რევოლუციაში მიუხედავად ჩამომავლობის (რასიული) განსხვავებისა ვანიცდის ერთ და იმავე ფაზისებს. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ხალხის ისტორია ერთ დარჯაკში იყოს ჩამოსხმული. ეს მხოლოდ ნიშნავს, რომ ხალხთა განვითარების ზოგადი პროცესი მიუხედავად სხვა და სხვა თავისებურებისა ერთნაირი, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა ჩვენთვის ცნობილ დროში შეიცავს ეგრედ წოდებულ ფეოდალურ ხანას. ჩვენმა ხალხმა ვერ შესძლო საქართველოს ნაწილების გაერთიანება, ფეოდალური კარჩაკეტილობის დანგრევა და მოქალაქეობრივი საზოგადოების შექმნა. ფეოდალობამ ჩვენში მიაღწია უკიდურეს განვითარებამდე, ბოლოს გადაიქცა

ანქრონიზმათ და როგორც მობერებულები რამ, შეუფერებელი და გამოუდევარი არსებობისათვის ბრძოლაში გადაიჩეხა ხრამში, მასთან ერთად გაიყოლია ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა

როგორც ვიცით, ევროპაში საშუალო საუკუნოებში ფეოდალური განწყობილება იყო. ევროპაც დაქუცმაცებული იყო ურიცხვ სამეფოებათ, სამთავროებათ, აქაც მეფე მხოლოდ ფეოდალთა უფროსი ძმა იყო თავისი უფლებებით, მაგრამ იქ თან და თან ეს წესი შეიცვალა, დაინგრა ფეოდალთა საბუდარი კოშკები, ფრთა შეეკვეცა მათ ძლიერებას და აღმოჩნდა თანამედროვე მოქალაქეობრივი საზოგადოება. როგორ მოხდა ეს? ფეოდალობა დაანგრია ადებ-მიცემობის განვითარებამ, ქალაქმა. ქალაქის განვითარება აი რა ქმნის თანამედროვე საზოგადოებას. მოქალაქეთა ინტერესია მოსპოს თვითნებობა, კარჩაკეტილობა, გაათართოვოს ბაზარი, გააერთინოს ხალხი და შემუსროს ხელოვნურათ აგებული ფეოდალური კედლები. ამ მისწრაფებაში მას ხელს უწყვდის მეფე. მისი ინტერესივეა ფეოდალები დაიმორჩილოს, გაანადგუროს და ამ ნაირათ თავისი ძალა გააბატონოს. ეს პროცესი თავის განვითარებას პირველ ხანში წარმოადგენს აბსოლუტურს ძალის ზრდას. ქალაქის და მეფის შეერთებული ძალა ბოლოს უღებს ქვეყნის დაქუცმაცებას და აარსებს ნაციონალურ სახელმწიფოს, ამ დროს აბსოლუტური ძალის ზრდა

სრულიათ ეთანხმება ქვეყნის ინტერესს. შემდეგში, როცა ეს გაერთიანების პროცესი დასრულდა, მაშინ სულ სხვა ნაირათ დატრიალდა საქმე: წინანდელი კავშირი ორ ძალთა შორის მტრობად გადაიქცა: მოქალაქე შეებრძოლა აბსოლუტობას და სძლია ის.

თუ ერთნაირი გარემოებანი ერთნაირ შედეგებს აჩენენ, ჩვენში ნასახათ მაინც რატომ არ იჩინა თავი მოქალაქეთა მისწრაფებამ? ხომ ჩვენშიაც იყო ქალაქები. რა საკვირველია, ამ ქალაქებს არ ქონდათ ისეთი ძალა, როგორც ევროპაში, მაგრამ იდეიურად მაინც გამოეთქვათ თავისი მისწრაფება. თუ ძალა არ შესწევდათ, რომ ფეოდალებს შეებრძოლებოდენ, აზრი მაინც შეემუშავებიათ, რომ ამით გონებრივი ნიადაგი მოემზადებიათ გაერთიანებისათვის. ჩვენ არც ერთი მაგალითი ასეთი მოვლენისა ჩვენი წარსულიდან არ ვიცით. ჩვენი ქალაქების სიჩუმე მათი პოლიტიკური არარაობა უმთავრესათ ერთი გარემოებით უნდა აეხსნათ. სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ჩვენში აღებ-მიცემობას უკანასკნელ დრომდე, თითქმის ერთიანად უცხო ხალხები მისდევდნენ. ცხადია, უცხო ხალხი, ჩვენი ცხოვრების გარეშე მდგომი, არ მოისურვებდა ჩვენ საქმეში ჩარეულიყო და ჩვენი გაჭირვება გაეზიარებია. თუ არ ვეცდებით, ასეთივე მოვლენას ვხედავთ პოლონეთის ისტორიაში, სადაც თავდაზნაურობის ძალა იმდენათ განუსაზღვრელი აუ-

ლაგმელი იყო, რომ წარმომადგენლობითი სისტემა ცნობილ *Ziberum veto'eu* აბსურდათ განადეს და ამით თავის ქვეყანას თავიანთივე ხელით ყელი გამოსჭრეს. ისტორიიდან ვიცით, რომ აღამაჰმად ხანმა, როცა საქართველოსკენ გამოილაშქრა, სომეხ კათალიკოს ლუკასაგან მიიღო სამხედრო ხარჯის დასაფარავათ ასი ათასი მანათი. რა.საკვირველია, ამ თანხაში არამცირედი ნაწილი ერევოდა ქართველ ხალხის ოფლით მონაგარისა. ჩვენ ამით ბრალს არავის ვდებთ. გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზე, შინ იყვნენ ჩვენივე არსებობის თუ არა მოწინააღმდეგე, ყოველ შემთხვევაში არა მომხრე ელემენტები და სწორედ ეს ასეთი ელემენტი იყო, რომელსაც უნდა ეთამაშა პირველი როლი ქვეყნის გაერთიანებაში და მოქალაქეობრივად თვითშეგნების შექმნასა და განმტკიცებაში. აი ერთი ძირითადი მიზეზთაგანი ჩვენი მეფეების უძლურებისა ქვეყნის გაერთიანების საქმეში.

იყო კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც თითქო ჩვენი ერთობის გამომხატველი იყო. ესაა ეკლესია. ყოველი ჩვენგანი ხედავს ურიცხვ ნანგრევებს თუ გადარჩენილ ეკლესიებს ჩვენ სამშობლოში. მიუალ კლდის წვერებიდან გადმოგყურებენ მათი ნაშთები და ხშირათ გაოცებთ, ვინ შესძლო ასეთ სიმაღლეებზე, ასეთ მიუდგომელ ადგილებზე შენობა აეგო. რამდენი ძალა უნდა

დახარჯულიყო მათ აშენებაზე?! და განა ეს მარტო ჩვენში? ქართველთა ეკლესიები მოფენილი იყო სხვა ქვეყნებშიც. მონასტრები და ეკლესიები წარმოადგენდნენ სარწმუნოებრივ ცენტრებს. აქ იწერებოდა და აქიდან ვრცელდებოდა ჩვენში, ქართული საეკლესიო წიგნები, აქვე სწავლობდნენ წერა-კითხვას. ამნაირათ ეკლესია იყო ჩვენში მწიგნობრობის წარმომადგენელი, მაგრამ ის თავისი ძირითადი ხასიათით ემსახურებოდა მხოლოდ სასულიერო მწიგნობრობას და ხელს უშლიდა, ხშირად ებრძოდა საერო ლიტერატურას. ამნაირათ ერთის მხრით ავრცელებდა მწიგნობრობას, მეორე მხრით იცავდა მის ცალმხრიობას და ხელს უშლიდა მის თავისუფალ განვითარებას. გარდა ამისა ჩვენი ეკლესია მოკლებული იყო ყოველ პოლიტიკურს მიდრეკილებას და ერთნაირადვე ეგუებოდა ყოველივე წყობილებას: საქართველოს ერთიანობას, მის დაქუცმაცებას თუ დაპყრობას. ასე რომ საზოგადოთ ჩვენში მეტად გაზვიადებული, შეუფერებელი წარმოდგენა აქვთ ეკლესიაზე. მას ჩვენ წარსულში არ უთამაშია თვალსაჩინო როლი ჩვენი წინსვლისათვის. ამასვე ცხადათ მოწმობს დღევანდელი მისი ყოფაქცევა...

ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი ელემენტი არ ყოფილა ჩვენში ისეთი რომელზედაც მეფეს შეძლებოდა დაეფუძნებია თავისი იმედი და გაიძლიერებია მონარხული ძალა. ზემოთ ჩვენ

დავინახეთ, რომ ევროპაში აბსოლუტური ძალის განვითარება შედეგი იყო საზოგადოებრივი ანტიგონიზმისა. საზოგადოების კლასებთა ინტერესების წინააღმდეგობამ გამოარკვია მათ შორის ბრძოლა. მეფე მიეკედლა მისი უფლების გაძლიერების თანახმა კლას და ამნაირათ შეიქმნა აბსოლუტობა, ჩვენ ისტორიაში კი ვერ ვხედავთ ძლიერ კლასს, რომელზედაც მეფეს შესძლებოდა თავისა მოქმედება დაემყარებია. ამიტომაც ზოგიერთი ჩვენი მეფეების ცდა გაერთიანების გზაზე ვერასდროს საწადელ მიზანს ვერ აღწევენ. მართალია, რამდენჯერმე საქართველო შეიკრიბა ერთი მეფის უფლების ქვეშ, მაგრამ ამავე დროს ამ შეკრების შედეგი არ ყოფილა განცალკევების წარმომადგენელ ფეოდალების და მათი ციხე კოშკების შემუსვრა და გაუქმება.

მე მგონია, ქვეყანაზე არ მოიპოვება მეორე ხალხი, რომელსაც ისე ცუდსა და გარეშე პირობებში შეხვედროდა არსებობა, როგორც საქართველოს. მუდმივი დარბევა, მუდმივი შემოსევა, მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის, შეუწყვეტელი ცდა გარეშე მტრების მოსაგერებლათ—აი რას ვხედავთ საქართველოში. წინად საქართველოს მაინც ასე თუ ისე კავშირი და მიმოსვლა ქონდა ევროპასთან ბიზანტიის შემწეობით. აქაც ვერ გაიმაგრა ფეხი ქართველობამ ზღვის პირას და ვერ გააძლიერა მრეწველობა-ვაჭრობა აქაც ქალაქები უცხო ხალხთ ეჭირათ. რაცუნდა ყოფილიყო, მაინც სანამ ბიზანტია

ცოცხლობდა, ქართველებს შეძლება ქონდათ-
ვეროპასთან მიმოსვლა დაეჭირათ და ამნაირათ-
მუდმივი გონებრივი საზრდო მოეპოვებიათ უფრო
განათლებულ ხალხებისგან. მაგრამ აი 1453 წელს.
კონსტანტინეპოლი ხელში ჩაუვარდათ ოსმალებს.
ამ ნაირათ საქართველოს გადაეღობა გზა მთელ
ქრისტიანულ ევროპისკენ. აზიაში დარჩა ერთათ-
ერთი საქართველო გარშემორტყმული გაცილებით
უფრო ძლიერი, ფანტიკოსობით აღსავსე და
ულმობელი მტრებით. საქართველოს გვერდით
აღორძინდა ორი ძლიერი სახელმწიფო—სპარსეთი
და ოსმალეთი. ორივენი მტრულის თვალით.
უცქერიან საქართველოს, ცდილობენ აღგავონ
დედამიწიდან ქრისტიანობის უკანასკნელი თავ-
შესაფარი აზიაში. ეს ორი მოქიშპენი ავრცელებენ
თავის გავლენას საქართველოში, ხშირად არბევენ
ქვეყანას, აოხრებენ იმოზჩილებენ მას: სპარსეთი
თავის გავლენას აძლიერებს აღმოსავლეთში, ოს-
მალეთი დასავლეთ საქართველოში.

ასეთ პირობებში მოქმედებდნენ ჩვენი მეფეები.
უსამართლობა იქმნება, შესაფერათ არ დავაფასოთ
ზოგიერთი მათგანის ცდა ქვეყნის აღორძინებასა და
გაერთიანების საქმეში. უპირველესათ უნდა დავა-
სახელოთ საქართველოს უდიდებულესი მეფე დავით
აღმაშენებელი (1089—1125), რომელიც ერთ-
ნაირივე გამჭირახი იყო, როგორც სამხედრო ისე
სამოქალაქო საქმეებში. მისი მოქალაქეობრივი შორს

მკვრეტელობის დასანახავ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი არაბული მწერლის აზრი: „მოსლიმანთ ის უფრო პატივის სცემდა, ვიდრე თვით მოსლიმანთა მეფენი.“ დავითს აღარ გამოსჩენია შესაფერი მემკვიდრე რომელსაც განეგრძო მის მიერ დაწყებული საქმე. პირიქით აღექსანდრე მეფემ (1413—1442) საქართველო თვითონ დაანაწილა. ამის მერე საქართველოს ველარ ვხედავთ, როგორც ერთეულს. ის განაგრძობს არსებობას დანაწილებული. ღირს აღსანიშნავია ერთი ფაქტი, კახეთის მეფემ გიორგიმ მესამემ (მე-XV საუკ. ბოლ.) მოსპო მემკვიდრეობითი ერისთავობა და იმათ მაგიერ დაამწესა მოხელეები-მოურავები.

ყველა ზემონათქვამიდან ჩვენ დავინახეთ, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში იყო საქართველო. უიმედობა შინ, მუღმივი ბრძოლა გარეშე მტრებთან თანდათან აუძლურებდა ქვეყანას. ასეთმა გარემოებამ ჩვენს მეფეებს აფიქრებინა გარეშე მფარველობის მოპოვება. ვინ იქმნებოდა ეს მფარველი? ევროპის ქვეყნებში ცდა ამაოდ დარჩა. ევროპა მაშინ ჩვენგან ჩამოშორებული იყო, ნაკლებად იცნობდა ჩვენს ქვეყანას და ვერც საკმაოდ აფასებდა მის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამიტომ მთელი თავისი ყურადღება ჩვენმა მეფეებმა მიაპყრეს ერთ-მორწმუნე რუსეთს. მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული საქართველოს მეფეები ზედი-ზედ გზავნიან რუსეთში თავიანთს წარმომადგენლებს.

მფარველობის მოსაპოვებლად. აქ ჩვენმა მეფეებმა გამოიჩინეს სრული უფიცობა პოლიტიკურ კითხვებში. რამდენადაც ისინი დახელოვნებული იყვნენ სპარსეთ-ოსმალეთის საქმეებში, რამდენადაც ოსტატურათ იჭერდნენ თავს ამ მტრებთან: ხან დამორჩილებით, ხან მოტყუებით, ხან გამარჯვებით პასუხსა სცემდნენ მათ,— იმდენადვე ბავშური ნდობა გამოიჩინეს რუსეთის წინაშე. იმათვინ სრულიად გამოუცნობი დარჩა რუსეთის რეალური პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ თავის სარგებლობით ხელმძღვანელობს, და არა გულკეთილობით, მართლმორწმუნეთა შველით და სხვა. მართლმადიდებლობის სახელით ქართველები დაიყოლიეს პოლიტიკურ საქმეებში, ხოლო ამ საქმეების დასრულების დროს მოკავშირენი სრულიად დაივიწყეს. ერთი სიტყვით საქართველო იმდენათ აინტერესებდა რუსთა პოლიტიკოსებს, რამდენათ ის გამოსადეგი იყო მათვინ აღმოსავლეთის საქმეებში. ქართველები კი გულით მიენდნენ რუსეთს. როგორც მოგვხსენებათ, 1783 წ. რუსეთსა და საქართველოს შუა შეკრულ იქმნა ტრაკტატი, რომლითაც რუსეთმა საქართველოს აღუთქვა მფარველობა, გარეშე მტრებისაგან დაცვა. ხოლო საქართველომ— ვასალური მორჩილება. ისიც მოგვხსენებათ, რომ 1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა ააოხრა საქართველო, ქვა ქვაზე არ დაუტოვებია. თბილისის აღებამდე სპარსეთის შაჰმა არა ერთხელ წინადადება

მისცა ირაკლის: დამმორჩილდი და ბევრ სიკეთეს გწევო. თბილისის აოხრების აშემდეგაც და ხელახლა წინადადება მისცა — რუსები არ დაგინდობენ, მოგატყუებენ, ნუ ენდობი მათ, აღიარე ჩემი ბატონობა, სულ ყველა ტყვეს გავათავისუფლებ და მთელი ადერბეიჯანის უფროსობას მოგცემო. რატომ არ დათანხმდა ერეკლე? რაინდობა გამოიჩინა, ქვეყანა ააოხრებია მტარვალს, იმის მაგიერ რომ გონიერება ეხმარა, ზეპოლიტიკურათ მოქცეულიყო. ურთიერთ პირობას მანამღი აქვს ძალა, სანამ ორივე მხარე ასრულებს მას — ეს ქეშმარიტება სრულიად გაუგებარი იყო ქართულ მართლმორწმუნე მეფეებისათვის. ამ ნაირათ რუსეთის მიერ 1783 წელს დადებული პირობა — საქართველოს ტერიტორიას გარეშე მტრებისაგან დავითარავო, ქართველთათვის ცარიელ პირობად დარჩა — გარეშე მტრები წინანდებურზე უფრო მძვინვარედ თარეშობდნენ საქართველოში. ოფიციალური ცნობებით, საქართველოში 1783 წ. დაწყებული, 1801 წლამდე, მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა.

რაც საუკუნოებით ვერ შესძლეს მუსლიმანობის სახელით სპარსეთმა და ოსმალეთმა — ის, დასრულა რუსის მხედრობამ ქრისტიანობის სახელით: მოუსპო მთლად ერთიანად საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება...



რუსეთის დამყარება საქართველოში. *)

I

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების დროს ეჭირა 30.000 ოთხ-კუთხი ვერსი, სადაც ცხოვრობდა 269 ათასი ოჯახი; მცხოვრებთა ოთხ მეხუთედ რიცხვს შეადგენდნენ ქართველები, ერთ მეხუთედს — სომხები, თათრები და ოსები.

პოლიტიკური წყობილებით მაშინდელი საქართველო მოგვაგონებს საშუალო საუკუნეების ევროპის ფეოდალურ სამეფოებს, ხოლო მისი მოქალაქეობრივი და სისხლის სამართალი წააგავს ისეთი ხალხების სამართალს, რომელნიც ცხოვრობენ გვარებად, ესე იგი უფლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი ცალკე ადამიანი კი არაა, არამედ მთელი გვარი.

სამეფოს განაგებდა საქართველოს მეფე პრინციპიალურად თვით-მყრობელი, მაგრამ ხშირად სუსტი და შეზღუდული.

საზოგადოების უმაღლეს წრეს შეადგენ-

*) Гражданское управление Закавказьем отъ присоединенія Грузіи до намѣстничества Великаго князя Михаила Николаевича. Историческій очеркъ, сост. В. Н. Иваненко. Тифл. 1920 г.

დნენ ბატონიშვალები, რომელიც ბოლო დროს მეტად გამრავლდნენ. მათ გარდა არსებობდა ორი მაღალი წოდება: თავადები და აზნაურები.

ყოველ თავადის გვარს ჰქონდა რამდენიმე სოფელი, ჰყავდა ჯარი, საკმარისი იარაღი და ორისამი ციხე, სადაც თავს აფარებდნენ მისი ქვეშევრდომნი მტრების შემოსევის დროს. ომის დროს ყოველი თავადი შეაგროვებდა თავის ყმებში ჯარს, შეაიარაღებდა და წარსდგებოდა თავისი ჯარით ოლქის სარდალთან. სახელმწიფოს ყველა მაღალი თანამდებობანი ეძლეოდა თავადებს და ეს თანამდებობანი მემკვიდრეობით გადადიოდა ერთიდან მეორეზე. უმეტეს ნაწილად თავადების გვარეულობებს გაუყოფელი მამულები ჰქონდათ, ფლობდნენ საერთოდ, მთელ შემოსავალს აგროვებდა გვარის უფროსი, რომელიც ინახავდა გვარის დანარჩენ წევრებს.

თავისი მნიშვნელობის და გვარიშვილობის მიხედვით თავადები დანაწილებული იყვნენ სამ კლასად: პირველი კლასის თავადებს ეკუთვნოდნენ ექვსი გამოჩენილი გვარის უფროსები, მეორე კლასისას ამავე გვარების დანარჩენი წევრები, ხოლო მესამისას დანარჩენ გვარების წევრები. თავადის გვარეულობა სულ იყო კახეთში — 24, ქართლში — 38.

თავადის უმთავრეს იურიდიულ უპირატესობას შეადგენდა მისი უფლება, რომელიც მას

აკუთვნებდა აზნაურებს. რამდენად მეტი აზნაური ჰყავდა თავადს, იმდენად მისი სახელი ძლიერი იყო.

აზნაურებიც სამ კლასად იყოფოდნენ. პირველი ადგილი ეკუთვნოდა მეფის ტახტის აზნაურებს, შემდეგ საეკლესიოს და უკანასკნელი სათავადო. აზნაურებს. აზნაურთა გვარები რიცხვით იყო — სატახტო 118, კათალიკოსების — 13 და სათავადო — 186.

აზნაურებსა და უბრალო გლეხების შორის საშუალო ადგილი ეჭირათ მსახურთ. მსახურები ახლდნენ მეფეს, თავადებს, აზნაურებს და სასულიერო პირებს. ყოველი მათგანი ელოდა თავის ბატონისაგან წყალობას და სამაგიეროდ შველოდა მას სხვა-და-სხვა საქმეებში. მსახურებიც ყმები იყვენ, მხოლოდ მათ ბეგარა არ ხდებოდათ, — მოვალე იყვენ ბატონისთვის მარტო ხელზე მოსამსახურეები ეძლიათ.

ამას შემდეგ იყვენ უბრალო გლეხები, რომელნიც სამ რიგად იყოფოდნენ: თავისუფალი გლეხები, უშუბი და მანები.

პირველთ არ ჰქონდათ განსაზღვრული ბინა და ცხოვრობდნენ დღიურად. ისინი დასახლებოდნენ თუ არა, ყმებად იქცეოდნენ. ყმები შემკვიდრეობით დასახლებული იყვენ მიწებზე და მამულის შესაკუთრებეს აძლევდნენ განსაზღვრულ ბეგარას. ამ ბეგარაში უფრო თვალსაჩინო იყო მარტო

ბლეულობის მეექვსედი და ღვინის მოსავლის მეათედი. ყმების გაყიდვა უმიწოდ და ხშირათ ოჯახს გარეშე არ იყო კანონით აღკრძალული და ხშირადაც ხდებოდა. მებატონეს უფლება ჰქონდა გლეხის დაჯარიმებისა და გაწკეპლებისაც. გარდა ამისა ის, მოსამართლედ იყო გლეხისათვის. უკანასკნელ საფეხურზე იდგა ყოველ უფლებას მოკლებული მონა.

სამფედელოება და მოქალაქენიც სამ ხარისხად იყვენ დანაწილებული. პირველ ხარისხოვან თავადის და მიტროპოლიტის სისხლი ფასობდა 15360 მ., მეორე კლასის თავადის და ეპისკოპოზის სისხლი — 7680 მან., მესამე კლასის თავადის და არხიმანდრიტის სისხლი — 3840 მ. ორჯერ უფრო იაფად ფასობდა პირველ ხარისხოვან აზნაურის და მონასტრის ილუმენის სისხლი. მეორე ხარისხის აზნაურის და უმდიდრესი ვაჭრის სისხლი ფასობდა—480—მან., დიაკვნის და წვრილი ვაჭრის სისხლი—240 მან., ხოლო გლეხისა და მეწვრილმანის მოკვლისთვის დადებული იყო მხოლოდ 120 მანეთი. რა კი საქართველოში მაშინ წოდებრივი წყობილება და ბატონყმობა არსებობდა, ამიტომაც კანონს ყველასთვის ერთნაირი ძალა არ ჰქონდა. პიროვნების წინააღმდეგ დანაშაული მაშინ იზღვეოდა ნორმალურად, როცა დამნაშავე და შეურაცხყოფილი თანასწორი წოდების იყვენ. თუ ვინმე შეურაცხყოფდა უფროსს, მაშინ ის ასეთი უზრდველობისთვის განსაკუთრებულ ჯარიმას იხდიდა, პირ იქით, თუ მაღალი წოდების.

პირი დაბალი წოდების წარმომადგენელს მოჰკლავდა, იმ შემთხვევაში ის მხოლოდ ნახევარ ფასს იხდიდა; ამასთანავე თუ ბატონი რაიმე დანაშაულობისთვის თავის ყმას მოჰკლავდა, ამისთვის ის არ ისჯებოდა, მხოლოდ მოკლულის ოჯახი თავისუფლდებოდა. მაგრამ თუ გლეხი სიტყვიერად შეურაცხყოფდა ბატონს, მაშინ მას მოჰკვეთდნენ. ენას, თუ კი ვერ გადაიხდიდა ენის საფასს ჯარიმას.

ყოველივე ჯარიმა პიროვნების დანაშაულობისთვის უნდა გადაეხადა მთელ გვარს, რომელსაც დამნაშავე ეკუთვნოდა.

მთელ საქართველოში თათრების პროვინციების, მთის ოსეთის, ფშავეთის, ხევსურეთის და თუშეთის გარდა იყო მხოლოდ ორიათასამდე დასახლებული ადგილი, მაგრამ აქიდან სამი მეოთხედი სრულიად მიგდებული და აოხრებული იყო შტრის შემოსევისაგან. ამ გვარად რუსების შემოსვლის დროს დასახლებული იყო 450—დე ადგილი, ამ რიცხვიდან ასამდე სოფელი ეკუთვნოდა სახელმწიფოს, 190—მებატონეებს, ხოლო 70—დედოფლებს და ბატონიშვილებს.

უმაღლესი სამართველო დაწესებულება იყო საბჭო, რომელიც შესდგებოდა 4—8 დიამბევისაგან. საბჭო წარმოადგენდა უმაღლეს საადმინისტრაციო, საფინანსო და სამსახულო გამგეობას. საბჭო იყო ტფილისში და თავის მოქმედებაში დამოუკიდებ-

ლად სარგებლობდა მეფის განკარგულებით.

საბატონო სოფლებში *სამსაჯულო* და *სამაღიციო* გამგეობა ებარა ბატონს, მემამულეს, ხოლო ქალაქებსა და სახელმწიფო და საუფლისწულო სოფლებში—*მოურავებს*. ეს პირნი ან თვითონ არჩევდნენ საქმეებს, ან და მომჩივან-მოპასუხეთ ურჩევდნენ მედიატორებთან მიმართვას. ასეთი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოდ დარჩენილ პირს შეეძლო საქმე მეფესთან განესაჩივრებია.

სამხედრო მხით საქართველო დაუთფილი იუკეპს *სასრდლოდ*, ყოველ სასარდლოს ჰყავდა თავისი სარდალი. ომიანობის დროს ყველა თავადები და აზნაურები, აგრეთვე სამეფო, საუფლისწულო და საეკლესიო მამულების გამგე მოურავები შეჰკრებდნენ ჯარს და წარსდგებოდნენ თავისი სარდლის წინაშე. ამნაირად თითოეული სასარდლო შეადგენდა ცალკე რაზმს. ამ ჯარს შეუერთდებოდნენ ფშავხევსურები და თუშები თავისი დეკანოზების წინამძღოლობით. ჩვეულებრივ ამ მთიულების ჯარს წინ უძღოდა თვით მეფე. თათრის ჯარები შეადგენდნენ ცალკე რაზმს, რომელსაც წინ უძღოდა მათი მოურავი.

მე-XVIII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მოქმედობდა ვახტანგ ბატონიშვილის (შემდეგში ვახტანგ VI) მიერ შედგენილი *საქალაქო და სისხლის სამართლის კანონთა კრებულები*. სისხლის სამართალი კერძო უფლებრივი ხასიათისა იყო, მაგრამ ამავე

დროს მასში თვალსაჩინოდ ვხედავთ სახელმწიფოს შეხედულებისკენ მიდრეკილებას, გარდახვევას. სისხლის ძიება უკვე აღკრძალულია, აღკრძალულია თვით-გასამართლებაც. მეფის ჯარიდან მტრის ბანაკში გადასვლა ფეხების მოჭრით ისჯება, მეფის ლაღატი იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლება, რომ თვით მეფე სჯის ასეთ საქმეს.

სხვა ყოველი გვარი დანაშაულობა იზღვოდა ფულით. ძირითადი თვისება საქართველოს კანონდებულობისა გამოიხატებოდა იმაში, რომ ძალიან იშვიათად სარგებლობდნენ მოწმეებით. მთხრობლობა აღკრძალული იყო, მხოლოდ სახელმწიფოს ლაღატის გამოძევა იყო სავალდებულო. ამიტომ ჩვეულებრივ მიმართავდნენ ხოლმე ფიცსა და სხვა დასხვა გვარ გამოცდას. ფიცი უნდა მიეღო არა მარტო მოპასუხეს, მასთან ერთად იფიცებდა რამდენიმე კაცი, რომლებიც ადასტურებდნენ მოპასუხის, სიმართლესა. ასე იყო საქმე შუაგულ საქართველოში. მთის ხალხი, თავისუფალი ყოველგვარ ბატონობისაგან, ცხოვრობდა თავისი შინაური განწყობილებით, თემური ურთიერთობით.

მთიელთა ღვაწლი საქართველოსთვის დაუფასებელია. ისინი იცავდნენ ქვეყანას ლეკების შემოსევისაგან და პირველ ადგილზე იყვნენ ყოველ ომში. საოცარია სწორედ, როგორ მოახერხეს ამ პატარა თემებმა, ორი მხრივ ხშირად ქისტებისა და ლეკებისაგან გარშემორტყმულებმა, თავისი დამოუკიდებლობის დაცვა.

II

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII. თუმცა ის მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ მის აღრე გარდაცვლას არავინ მოელოდა. რუსთა ჯარის უფროსს ტფილისში, ლენერალ ლაზარევს, არავითარი ინსტრუქცია არ ჰქონდა მიღებული ასეთ შემთხვევისათვის, გარდა 2 დეკემბრის საიღუმლო ბრძანებისა, — არავისთვის არ დაენებებია გამეფება საქართველოში, სანამ უმაღლეს ბრძანებას არ მიიღებდა, ლაზარევმა კარგად იცოდა, რომ პეტერბურგში უკვე წყდებოდა ის საკითხი, საქართველო გადაექციათ უბრალო რუსეთის გუბერნიად, თუ დაეტოვებიათ ვასალურ სამეფოდ. მიუხედავად ასეთი საფრთხილო მდგომარეობისა, საქართველოს ბატონიშვილები სრულიად მოუშზადებელი იყვნენ. ერთი მხრით მეფის უფროსი შვილი დავითი და მეორე მხრით მისი უახლობელესი ძმა შვეტიშენ ერთმანეთს, გადასწყვიტეს არ დაეთმოთ ერთმანეთისთვის საქართველოს გვირგვინი და სამკვდროსასიცოცხლოდ შებრძოლებოდნ ერთმანეთს. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო მთელმა საქართველომ. საზოგადოების ყველა ელემენტები ამოძრავდნ. უკანასკნელი საფუძველი, რომელზედაც კიდევ თავს იმაგრებდა ძველი სამეფოს ნაშთი,

ინგროდა. ლაზარემა ჯერ-ჯერობით სამეფოს მმართველად დასტოვა ბატონიშვილი ივანე, ხოლო თვითონ მას ამოეფარა და ისე განაგებდა ქვეყანას, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 16 თებერვალს ტფილისში გამოაცხადეს იმპერატორ ჰაუელს მანიფესტი, რომლითაც საქართველო შეერთებულ იქმნა რუსეთთან. ამავე დროს დაბრუნდნენ რუსეთიდან მეფის დესპანები და იმპერატორის სახელით გამოაცხადეს, რომ ბატონიშვილი დავითი, როგორც ტახტის მემკვიდრე, უნდა განაგებდეს ქვეყანას ლაზარევთან ერთად. ბატონიშვილი დავითი დაკმაყოფილდა ასეთი განკარგულებით, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს თანამდებობა მას მთელ სიცოცხლეში ექნებოდა. რამდენადაც შეეძლო, შეეცადა ლაზარევის უფლების შესუსტებას და თავის მეფურ უფლებათა აღდგენას. ლაზარევი ჩუმადიყო და ჯარის მოსვლას უცდიდა. მაისის დამლევს საქართველოში შემოვიდა დიდძალი რუსის ჯარი და მასთან ერთად ტფილისში მოვიდა იმპერატორისგან გამოგზავნილი კანკინგი. ამან ისარგებლა იმგარემოებით, რომ დავითი ცდილობდა თავის უფლების გაძლიერებას, და სრულიად გადააყენა იგი. ამავე დროს დაარსა დროებითი გამგეობა. გამგეობას შეადგენდნენ ძველი დიამბეგები ლაზარევის თავმჯდომარეობით. ამ გამგეობას უნდა გაერჩია ყველა საქმეები, რომლებსაც წინეთ მეფის მთავრობა არჩევდა, ესე იგი აეკრიფა და დაეხარჯა საქართ-

ველოს სახელმწიფო შემოსავალი, გაეჩინა სამართალი, გაერჩია თხოვნები და სხვ. ამნაირად შესდგა დროებითი გამგეობა, რომელიც ერთ წელიწადს მოქმედებდა.

1801 წელს 12 სექტემბერს ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და მასთან ერთად დაამტკიცა საქართველოს მართვის დებულება. საქართველოს საზოგადოდ მიენიჭა ისეთივე გამგეობა, როგორიც იყო რუსეთის გუბერნიაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის წესი აქ ადგილობრივ პირობებისთვის უნდა შეეგუებიათ. ეს იყო ადგილობრივ მოხელეთა მოვალეობა, რაც თავის დღემდე სისწორით არ აღსრულებულა.

საქართველოს და ჩრდილო კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო გამგედ დაინიშნა მთავარმართებელი, ხოლო უმთავრესი გამგეობა ჩაებარა უმაღლესი საქართველოს გამგეობას. ეს უკანასკნელი გაყოფილი იყო ოთხ ექსპედიციად: სახაზინო ექსპედიცია, რომელიც განაგებდა საფინანსო და სამეურნეო მხარეს, და ორი სამოსამართლო—ერთი სისხლის სამართლის, ხოლო მეორე სამოქალაქო საქმეების.

ექსპედიციები საქმეს არჩევდნ კოლეგიალურად და შესდგებოდნ ერთა უფროსისაგან, რომელიც უსათუოდ რუსის მოხელე იყო, და ოთხ მდივანბეგისაგან, რომელნიც ინიშნებოდნ ქართველ თავადებისაგან. აღმასრულებელ ექსპედიციამი

თავმჯდომარე იყო საქართველოს გამგე, რომელსაც მთავარმართებლის შემდეგ ექირა პირველი ადგილი. სააპელაციო და უმაღლესი ინსტანცია ყველა ექსპედიციებისთვის იყო უმაღლეს გამგეობის საერთო კრება რომელშიაც იყვნენ ექსპედიციის უფროსები და წევრები.

ადგილობრივი გამგეობის შუა ადგილები იყო სამაზრო ქალაქები. ყოველ მაზრაში დაარსეს ორორი კოლეგია: მაზრის სამსახურ და საერთო ზღაპრის გამგეობა. მაზრის სამსახულოში თავმჯდომარეობდა რუსის მოხელე, წევრებად იყვნენ ორი მსახური ქართველ აზნაურთაგან. პოლიციის გამგეობაში თავმჯდომარეობდა კაპიტან-ისპრავნიკი, წევრებად კი იყვნენ იასაულები ქართველ აზნაურთაგან. სისხლის სამართლის საქმეები უნდა ეწარმოებიათ უსათუოდ რუსეთის კანონების მიხედვით, ხოლო სამოქალაქო საქმეებში გადაწყვეტილებანი შეეთანხმებიათ ვახტანგ VI კანონებისთვის 1802 წელს 12 აპრილს დაიწყო მოქმედება საქართველოს უმაღლესმა გამგეობამ, მას მოჰყვა სამაზრო გამგეობის გახსნა. საქართველოს გამგედ დაინიშნა კოვალენსკი, სახაზინო ექსპედიციის უფროსად მისი ძმა.

რუსეთის სამსახულო დაწესებულებანი და სისხლის სამართლის კანონები სრულიად შეუფერებელი გამოდგა ქართველი ხალხისთვის. უცნობი წესი, სირთულე მსახულობისა, ხალხისთვის უცხო

მოხელე, ყველაფერი ეს მეტად აწუხებდა ხალხს. მთავარმართებელი ციციანოვი სამართლიანად სწერს: „რამდენი დაბრკოლებაა სასამართლოში! ქართველ ხალხისთვის ყველაფერი ეს ახალია, ხოლო ჩვენ გვიკვირს მისი ყოფაქცევა. მსაჯულსა და მთხოვნელს არ ესმით ერთმანეთის და ორივე უკმაყოფილონი რჩებიან“. ამასთან ნიჭიერი მხედარი შენიშნავს: „კანონები ზნე-ჩვეულებას უნდა ეთანხმებოდნენ, რადგან ეს უკანასკნელი საუკუნოებით იცვლება“. ასეთი შეუფერებელი წესის შემოღების გამო ხალხი მეტად უკმაყოფილო იყო. ამიტომ ქაზეთის თავად-აზნაურობამ რამდენჯერმე მიმართა თხოვნით კოვალენსკის. ამ თხოვნების შინაარსი დაახლოვებით შემდეგია: „ჩვენ, ქართველები, შევადგენთ ერთ პატარა ოჯახს. ჩვენ გვებრძოდნენ სულთანი, შახი, დაღესტანი, სულ ყველანი ახორებდნენ ჩვენს ქვეყანას და დროებით იმორჩილებდნენ მას, მაგრამ არავის არ მოუხპია ჩვენში მეფობა, არ ჩამოურთმევია ჩვენი ღირსება და უფლება. ყოველი მხრიდან შევიწროებულნი, ჩვენ დიდხანს ვიგერიებდით მტერს და ვიცავდით ჩვენს სამშობლოს ხმლით, მოხერხებით, თუ ხარკის გადახდით. ბოლოს ჩვენ მივმართეთ თხოვნით საშველად რუსეთის იმპერატორს. იმპერატორმა ჩვენ შეგვავერთარუსეთს და დაგვიბრდა მანიფესტით ყოველნაირი სიკეთე, მაგრამ ეს დაპირება თქვენ არ შეასრულეთ. ჩვენ დაგვიბრდნენ: „მტრებისაგან უზრუნველ-გყოფთო.“

ჩვენს სოფლებს-კი დღესაც წეწენ ლეკები. დაგვიპირდენ ჩვენი უფლებების დაცვას, დღეს კი ჩამოგვართვეს ის თანამდებობანი, რომელნიც ჩვენი სისხლით მოგვიპოვებია“. ამ თხოვნის შემდეგ კოვალენსკიმ დაუბრუნა თავადებს მოურავობა. კნორინგი და კოვალენსკი მალე გადაიყვანეს, რადგან სამინისტროს იღუმალმა აგენტმა, რომელიც საქართველოში იყო გამოგზავნილი, გამოამჟღავნა ზოგი მათი შეუფერებელი საქციელი. ამის შემდეგ დაინიშნა მთავარმართებლად თავადი **ციციანოვი**.

ეს ნიჭიერი რუსის სარდალი განაგებდა საქართველოს $3\frac{1}{2}$ წელიწადს. ამ დროს განმავლობაში მუდმივ ომიანობაში და საქართველოს ახლო მდებარე თათრების თემების დაპყრობაში იყო გაართული, ასე რომ მათ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში დიდი კვალი არ დაუმჩნევია. მხოლოდ მის დროს რუსეთის იმპერატორის ვასალურ დამოკიდებულებაში შევიდნენ სამეგრელოს მთავარი **1803** წელს და იმერეთის მეფე აპრილში **1804** წელს. ამ მხარეებში რუსებმა შეიყვანეს თავისი ჯარები, მაგრამ შინაგანი წყობილება შეუცვლელად დასტოვეს.

ამით სრულდება ციციანოვის ეპოქა. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო გარემოება. პეტერბურგში კარგად გრძნობდნენ, რომ საქართველოში რუსების მიერ შემოღებული მართველობა არ იყო ჩვენი ხალხისთვის შესაფერი. ამიტომ ფიქრობდნენ: საუკეთესო არ იქნება, სა-

ქართველო მივიღოთ ჩვენს მფარველობის ქვეშ და თავისი მეფეები დაუტოვოთ? ასეთი მოსაზრებანი არა ერთხელ მოხვლია გულკეთილ იმპერატორს და ამიტომ 8 ივლისს, 1804 წელს, იმან წინადადება მისცა ციციანოვს გამოეთქვა თავისი აზრი ამის შესახებ. მაგრამ პოლიტიკაში გულკეთილობა ნაკლებად გასჭრის და უკან დახევა ერთხელ განზრახულ მიზნისაგან შეუძლებელი გამოდგა. თებერვალში 1806 წელს ციციანოვი მოკლეს. მას შემდეგ საქართველოს განაგებდენ გრ. გუდოფიჩი და გენ. ტარშისოვი.

მუდმივი ბრძოლა გარეშე მტრებთან, ლეკების შეუწყვეტელი თარეშობა, ხშირად თვით ტფილისამდე, შემდეგ შავი ჭირი, რომელიც მუსრს ავლებდა ხალხს, გზების შეკვრა, მოუსაველობა და ვაჭრობის დაცემა იმდენად, რომ ერთი ფუთი ფქვილი ფასობდა ორ მანეთად, გირვანქა. შაქარი კი—1 მ. 80 კაპ., კაზარმების უქონლობა, რის გამო სალდათებს აბინავებდენ კერძო ოჯახებში, რაც ხალხს ანადგურებდა მტრის შემოსევასავით, გზის კეთების და ურმების გამოწვევის უსწოროდ განაწილება, რაც სრულიად აოხრებდა ბევრ სოფელს; მეფის გვარეულობის ინტრინგები, თავად-აზნაურობის უკმაყოფილება, ქრთამი და ბოროტ-მოქმედება უმაღლეს მოხელეებისა, რომლებმაც დიდი სიმდიდრე შეიძინეს საქართველოში ღ დაბალ მოხელეების უსაზღვრო ლობობა, ყველა ამის შედეგად ჩივილი,

უკმაყოფილება, ყვედრება, ზოგ ადგილას მღელ-
ვარება, ზოგსაც ცხადი აჯანყება—აი ის პირობე-
ბი, რომლებშიაც მოქმედებდნენ თ. ციციანოვი და
მის შემდეგ დანიშნული გრ. გუდოვიჩი, ლენერა-
ლი ტორმასოვი, მარკიზი პაულიჩი და ლერ.
რტიშჩევი.

ამავე დროს რუსული პოლიციური და სა-
სამართლოს გამგეობა, როგორც ხალხის ზნე-ჩვეუ-
ლებასთან შეუთანხმებელი, თუმცა საგრძნობელად
გამარტივდა საქმის წარმოების მხრივ, მაგრამ
არსებითად მაინც ძველი დარჩა და საერთო უკმა-
ყოფილების წყარო შეიქმნა. 1806 წლ. ივნისში
თავად ბაგრატიონის წერილის საპასუხოდ, სადაც
ის ურჩევდა ქართველებს რუსეთის იმპერატორის
მორჩილებას, ქართველთა თავადობამ გაუგზავნა
ბაგრატიონს შემდეგი კოლექტიური წერილი:
„ჩვენ მზად ვართ სისხლი დაედვაროთ რუსეთის
იმპერატორისათვის, მაგრამ უმორჩილესად ვითხოვთ:
**1) საპატრიარქო უნდასამართლო აღვიღოგვიძ
ზნე-ჩვეულების თანახმად იქმნას გოლფრუზილი,
რადგან ჩვენ არ გვყავის არც რუსეთის კანონები
და არც ენა; 2) თავადებს მიეცეს საშვიდ აწილოდ
სახაზინო მიწების მოურავობა; 3) ქურდს
გადახდეს მეფე ვახტანგის კანონების მიხედვით და
არა სისხლის სამართლის ძალით, რის გამო საზო-
გადოება ძალიან იჩაგრება“.** ათ თებერვალს 1810
წელს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებამ

შიართვა იმპერატორს თხოვნა, სადაც უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოცხადებია შემდეგ ეწერა: „სასამართლოების განაჩენებში მეფე ვახტანგის კანონებთან ერთად მოქმედობს რუსეთის კანონები, რომელნიც ჩვენთვის სრულიად უცნობია. ასეთი არევა სხვა-და-სხვა კანონებისა ჩვენ საკუთარ საქმეებში გვიბრმავებს გონებას და საოცრად გვავიწროებს. ამიტომ ვითხოვთ, მსაჯულებად დაგვიყენოთ ჩვენ მიერ ამოწმებული ზირები, რომელნიც ვახტანგის კანონების მიხედვით არ გაგვიჭიანურებენ საქმეს წლიდან წლამდე და გააჩვენენ მას ქართულ ენაზე; სისხლის სამართალში მიცემულ იქმნენ მხოლოდ მოღალატეები და კაცის მკვლელები“...

ასეთი თხოვნები არა ერთი გაიგზავნა უმაღლეს მთავრობასთან, რომელიც ყველას კავკასიის მთავარმართებელს უბრუნებდა და ეს უყურადღებოდ სტოვებდა. მიუხედავად ამისა ხალხის მიერ უკმაყოფილების გამოცხადებას ის შედეგი მოსდევდა, რომ თანდათან უთმობდენ ადგილობრივ მოთხოვნილებას და ცდილობდენ რუსეთის კანონები ადგილობრივ ცხოვრებისათვის შეეფუებიათ. მაგრამ ამ მხრით გუდოვიჩის და ტორმასოვის დროს ძალიან ცოტა გაკეთდა.

1807 წელს გუდოვიჩმა გასცა ბრძანება, რომ ყველა სამოქალაქო საქმეები, რომელნიც წარმოსდგებოდენ ერთ და იმავე მებატონის ყმათა შორის,

თვითონ მებატონეს გაერჩია. აგრეთვე მოურავებსაც მიენიჭა მათ სამართველო მამულებზე მცხოვრებ გლეხების გასამართლების უფლება. ამავე დროს საქართველოში დაინიშნა საგუბერნიო პრაკურორი, როგორც კანონიერების მეთვალ ყურე. გარდა ამისა გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც შესაძლებელი ხდებოდა სამოქალაქო საქმეების აპელაციით გადატანა უმართებულეს სენატის მეოთხე დეპარტამენტში. ბატონიშვილები დავით და მირიანი დაინიშნენ იმავე დეპარტამენტში სენატორებად. ამ განკარგულების შემდეგ გუდოვიჩმა გააუქმა საქართველოს უმაღლესი გამგეობა იმ მოსაზრებით, რომ ამ გამგეობაში თავმჯდომარეობდა თვითონ ის, ფელდმარშალი, რომელიც „მსაჯულივით აპელაციებს ვერ დაემორჩილებოდა“. სენატი-კი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან სრულიად არ იცნობდა ვახტანგის კანონებს. ამიტომ 1809 წელს გუდოვიჩს მოსწერეს წარედგინა ვახტანგის კანონების თარგმანი, მანამდის-კი სააპელაციო საქმეები შეეჩერებიათ. 1810 წელს ტორმასოვმა წარადგინა თარგმანი, ამავე დროს ბატონიშვილმა მირიანმაც სთარგმნა ვახტანგის კანონები. შეადარეს ორივე თარგმანი და აღმოჩნდა, რომ არც ერთი არ ვარგოდა ამის შემდეგ ვახტანგის კანონების თარგმნის საქმე მთელ ათ წელიწადს ვაგრძელდა.

III

ამავე დროს რუსის მთავრობა თან-და-თან აფართოვებდა თავის ძალას და იპყრობდა საქართველოს სამეფოს პროვინციებს, რომელნიც მოთავსებული იყვნენ უმეტესად საქართველოს აღმოსავლეთით. მაგრამ ყველაზე უფრო საგრძნობელი შეძენა რუსთათვის იყო იმერეთის შემოერთება. აშკარაა, მას შემდეგ, რაც რუსები დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს დანარჩენ ნაწილებსაც დამოუკიდებლობის ნიშან-წყალი აღარ შერჩებოდა. პირველად რიგი მიადგა იმერეთზე. მოხერხებულად გაბმულმა ინტრიგებმა და დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშმა აიძულა სოლომონ II, მეფე იმერეთისა, მიეღო სხვა-და-სხვა ზომები. მაგრამ ვერაფერს გახდა, ის ტახტიდან გადმოაგდეს და გაიქცა ოსმალეთში 1810 წ. მარტში.

იმერეთი წინეთ საქართველოს სამეფოს ნაწილი იყო. მე-XV საუკუნეში საქართველოს მეფეს ალექსანდრეს დაებადა უბედური აზრი — გაეყო თავის შვილებისთვის საქართველო სამ ნაწილად. ერთი ნაწილთაგანი იყო იმერეთი. ვინ იცის, ეგები არც ერთ უბედურებას საქართველოზე არ ჰქონებია ისეთი ცუდი გავლენა, როგორც ამ ნებაყოფლობით დანაწილებას. იმერეთში წეს-წყობილება ისეთივე იყო საზოგადოდ, როგორც ქართლ-კახეთში. მაგრამ რადგან იმერეთი უფრო დაშორებული იყო

მუდმივ მტრებისაგან, რომელნიც გამხრწნელად მოქმედებდნენ ქართლ-კახეთში; ამიტომ აქ საზოგადოებრივი განწყობილება შედარებით მკვიდრი იყო. საერთო სახელმწიფო ინტერესების დაცვა აქ უფრო მტკიცე ნიადაგზე იყო დაყენებული. ამიტომაც აქ მოქალაქობრივი, საერთო ინტერესების შეგნება უფრო ძლიერი იყო. სამეფო ციხეების და მამულების განსაგებად სახელმწიფო გაყოფილი იყო 26 სამოურაოდ. თითოეულ სამოურავოს განაგებდა მოურავი არა მემკვიდრეობით, არამედ მეფის ამორჩევით. სამხედრო უფროსობა ეპყრა სამი გვარის სარდლებს; ეს გვარებია: — წერეთელი, წულუკიძე და აგიაშვილი.

ტორმასოვს და იმერეთის მართველად დანიშნულს სიმონოვიჩს პირველად აზრად ჰქონდათ არ შემოეღოთ იმერეთში რუსეთის კანონები და დაწესებულებანი რომ ამითი აეცდინათ თავიდან ის შეცდომა, რომელიც ჩაიდინეს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის მართვაში; ამიტომ რაკი ცოტა ქვეყანა დაცხრა, ტორმასოვმა შემოიღო თავისებური მართველობა, რომელიც ბევრად წააგავდა წინანდელ გამგეობას დამოუკიდებლობის დროს. ოლქის უმაღლეს გამგეობად იყო „დრაჟებით ოლქის გამგეობა“, რომელშიდაც თავმჯდომარეობდა ოლქის უფროსი, იგივე რუსების ჯარის წინამძღოლი. გამგეობაში მონაწილეობდნენ სახლთხუცესი და ორი მდივანბეგი. ისინი არჩევდნენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, გარდა ღალატისა, მკვლელობისა, ყაჩა-

ლობისა და ოსმალეთში ადამიანის გაყიდვისა. ამ უკანასკნელ დანაშაულობათ არჩევდა სამხედრო სასამართლო. დამნაშავეთა საპოვნელად იყვნენ დანიშნული ხევის თავები, ხოლო განჩინების აღსრულებაში მოსაყვანად ბოჭყულები. ხალხის მართვა და მცირე მნიშვნელოვან საქმეების გარჩევა ისევ მებატონეებისა და მოურავების ხელში დარჩა. ეს გამგეობა მხოლოდ რამდენიმე კვირას არსებობდა. ამ დროს გაქცეულმა მეფემ ხალხი ააჯანყა. ეს აჯანყება მოედო მთელ იმერეთს მდივანბეგებამდე. ამ მოვლენამ მოქალაქეობრივი გამგეობა შეუძლებელად გახადა. ამ გარემოებაში წინანდელი წესი მართვისა შეუძლებელიც იყო რუსთა ინტერესების მიხედვით. რუსის მთავრობა ველარ ენდობოდა იმ თავად-აზნაურობას, რომელიც ერთიანად მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში და თავის ყმებსაც აჯანყებდა. რამდენსამე თვეში რუსის ჯარმა ქვეყანა დააწყნარა. ამის შემდეგ იმერეთშიც გადაწყვიტეს თითქმის ისეთივე წესი შემოეღოთ, როგორც ქართლ-კახეთში იყო. მაგრამ ეს გადაწყვეტილება დიდ ხანს არ მოუყვანიათ სისრულეში, — თავადაზნაურობა დიდი ეჭვის თვალით უყურებდა რუსის მთავრობის მოქმედებას. გარდა ორიოდ თავიდანვე განდგომილებისა, მაღალი წოდება არ ეკარებოდა მთავრობას. სიმონოვიჩს ბევრი ხერხი დასჭირდა, რომ ადგილობრივი ელემენტი კოტაოდნად, საჩვენებლად მაინც, მიეზიდა მართვა-გამგეობის მონაწილეობაში; ამავე დროს ქვეყანას

ეწვია ორი დიდი უბედურობა: შიმშილი და ჟამი მთელ ორ წელიწადს მუსრს ავლებდა ხალხს. მცხოვრებთა ნახევარი ამოწყდა, დანარჩენიც მთებში გახიზნა. მთელ ამ დროს განმავლობაში იმერეთს განაგებდა ოლქის უფროსი თავისი შეხედულობით, ცნობილი ზურაბ წერეთლის დახმარებით. 1811 წ. 6 ივლის ტორმასოვმა დაანება თავი სამსახურს და მის ადგილას დაინიშნა მარკიზ ჰუჟუჩი.

მარკიზი პაულუჩი განაგებდა ქვეყანას თითქმის ერთს წელიწადს (1812 წლის აპრილამდე). ამ მოკლე დროში კახეთში დიდი აჯანყება მოხდა. თელავის და სიღნაღის მაზრების თითქმის ყველა მცხოვრებნი, აგრეთვე დუშეთის მაზრის ნაწილი გამოვიდნენ იარაღით რუსების წინააღმდეგ. გამძვინვარებულმა ხალხმა ამოჟლიტა რამდენიმე ათასი რუსის ჯარის კაცი, რომელნიც სოფლად იყვნენ ჩაყენებულნი; თავს დაესხნენ თელავის და სიღნაღის ციხეებს. სიღნაღის ციხე აიღეს და ამოსწყვიტეს რუსის მოხელეები. პირველად პაულიჩი ფიქრობდა, რომ აჯანყებას პოლიტიკური ხასიათი აქვსო, მაგრამ ეს არ გამართლდა. ხალხი აჯანყდა, რადგან რამდენიმე წლის განმავლობაში საარაკო უსამართლობას და შეურაცხყოფას იტანდა და ამავე დროს ვერსად პოვებდა ვერც სამართალს და ვერც მფარველობას.

რუსის შემოსვლის პირველ დღიდანვე აშკარა გახდა ჯარის ცუდი მოპყრობა მცხოვრებთადმი. აი რას სწერს ლაზარევი თავის ბრძანებაში ჯარისად

მი 1802 წელს: „აფიცრები თავის ქეიფზე იწვევენ სოფლებიდან ურმებს და ცხენებს, არ აძლევენ ხალხს არავითარ ქირას და ამით აღატაკებენ სოფელს. სალდათები პირად შეურაცხყოფას აყენებენ ხალხს, სტაცებენ საქონელს, სარჩოს, ხილეულობას; იკლებენ მათ ბაღებს და ბოსტნებს, ქვევრებს თავს ხდიან, რაც შეუძლიათ, შესმენ და მერე რაღაც თავხედობის გამო ქვებს ჰყრიან შიგ. უკვე შარშან მოვითხოვე, რომ ეს ბოროტება მოსპობილიყო, დღეს კი ვაცხადებ, რომ აფიცრებს დავატუსაღებ, ხოლო სალდათებს გავაროზგინებ შეუბრალებლად“. მაგრამ დასახელებული ბოროტება არ მცირდებოდა. პატარა საქართველოში იმდენად დაუზოგველად იწვევდნენ ხალხს სამუშაოზე, რომ მშვიდობიანობის დროსაც ყოველ დღეობით გამორეკილი იყო 112 ათასი ურემი და ასი ათასამდე ცხენი მისი თანამყოლით. ეს ბეგარა თითქმის მუქთი იყო, რადგან თვეობით ერთ ადგილზე გაჩერებაში არაფერს აძლევენ, ხოლო გავლილ გზიდან: $\frac{2}{15}$ კაპ. იყო ფუთსა და ვერსზე დანიშნული. შემდეგ, პასკევიჩის დროს, როცა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიაქციეს, 8 ათასი ურემი სრულიად საკმარისი გამოდგა.

ჯარის საკვებ მასალას ძალდატანებით ართმევდნენ ხალხს ან უფასურად ღ ან ძალიან იაფ ფასში. პროვინციის მოხელეები ათას-ნაირ ხერხით ატყუებდნენ და ჰყვლიდნენ ხალხს. 1811 წელს დიდი მოუხსავლობა იყო, ფუთი ფქვილი სამ მანეთად ფასობდა,

ხალხი იკვებებოდა ბალახით და ფესვებით, ამიტომ მან უარი განაცხადა ჩვეულებრივად პურის მიცემაზე სალდათებისათვის. მარკიზ პაულუჩს კი ისპრავნიკებმა და პროვიანტის მოხელეებმა სულ სხვანაირად დაუხატეს საქმის ვითარება. მაშინ მან ბრძანა, ურჩ კახეთის სოფლებში ჩაეყენებიათ ჯარი. წარმოსადგენია, როგორ ისარგებლებდნ ასეთი ეკზეკუციით მშვიერი სალდათები, რომელთაც პურიც კი აღარ ჰქონდათ. რა კი პური ვერ იპოვეს გლეხების სახლებში, მიჰყვეს ხელი შინაურ ფრინველებს და საქონელს და დაუზოგველად დასწყვიტეს. ზედ დააყოლეს ღვინოც, რომელსაც უმეტესად უსარგებლოდ ღვრიდნ. ხალხმა დიდ ხანს ითმინა ყველა ეს შეურაცხყოფა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო. პაულუჩი—სწორს ხაღხს: რას შერებით! რამ გაგახელათ; ნუ თუ დაგავიწყდათ ქრისტეს სარწმუნოება, რომ ღვთის ხელი, ფიცის გამტეხელთა გამმუსვრელი, მზადაა თქვენს გასათელად. დიდი ჯარით მოვდივარ თქვენს წინააღმდეგ. ხმალი ამოკლეტს მემამოხეთა“. ამაზე ხალხი უპასუხებს: „ჩვენ მწიგნობრობაში არა ვართ გამოწვრთნილი და არც თქვენი წერილი გვესმის. ჩვენ არ ვიღებთ ჯარზე ხელს და არც იმპერატორს ვღალატობთ, მაგრამ რაც იმპერატორმა ბრძანა, ის თქვენ არ აასრულებთ. თქვენ თვითონ გვიჩვენეთ მაგალითი, როცა აღრჩობდით თოკებით მართალსაც და ბრუდესაც და ყველა ამას ფიცის ძალით ჩვენ ვითმენდით. შტი-

კებით წაგვართვით უკანასკნელი ლუკმა და ჩვენ კრ გვირჩიეთ ბალახი გვეჭამა. ბეგრის გამო არ შეგვრჩა არც ხარი და არც ურემი. კოდ პურში გვაძღვედით. ექვს აბაზს, ხოლო ვისაც პური არ ჰქონდა, იმავე კოდ პურში ართმევდით ოთხ მანათს. ჩვენ მოგართვით თხოვნა, მაგრამ მეფეს არ მოახსენეთ. როგორც ჰგავს, ჩვენ ერთად ვერ მოვთავსდებით. ჩვენ ისედაც ვიხოცებით და უნდა ამოვწყდეთ“ აი სასოწარკვეთილ ხალხის პასუხი.

1812 წ. მარტში აჯანყება იარაღით ჩააქრეს. შემდეგ მოხდა გამოძიება, რომელმაც გამოააშკარავა, რომ გლეხების ჩივილი გადაჭარბებული არ იყო. ურმების ბეგარა ასში ოთხმოცდაათ ხარს უხოცავდა ხალხს; სალდათების და ოფიცრების ბოროტ-მოქმედება მარტო გლეხების ქონების დატაცებით არ განისაზღვრებოდა. არა ერთხელ ქმრის თვალწინ გაუპატიურებიათ ცოლი. საზიზღარი მექრთამეობა და მეტად ძნელი სამართალი, ხალხს სიმართლის აღდგენის ყოველ საშუალებას ართმევდა. ასეთი აზრის იყვენ არა მარტო გლეხები, ეპისკოპოზები, წინამძღოლნი და სხვ.; თვითონ პაულუჩიმ ასეთი დასკვნა წარუდგინა უმაღლეს მთავრობას კახეთის აჯანყების შესახებ: „ეს აჯანყება გამოწვეულია იმ გარყვნილებით, რომელიც მეფობს აქაურ რუს მოხელეთა შორის. ბოროტ-მოქმედებათ საზღვარი აღარ აქვთ. ურმის ბეგარა შეუფერებლად დიდია, რუსული სამართალი მეტად ზანტათ მოქმედებს.“

პროვინციის მოხელეები ჩადიან ათასნაირ „პოდლოსტებს“, ხალხსაც ავიწროებენ და ხაზინასაც ცარცვავენ.“ მართალი უნდა თქვას კაცმა, რომ პაულუჩი ამ საქმეში პირნათელი იყო. მოსვლისათანავე შენიშნა მან ბოროტების სიძლიერე და იმპერატორს მოახსენა, რომ მოხელეების ბოროტმოქმედება იმდენად გაძლიერებულა, რომ აჯანყება უსათუოდ მოხდებაო. ამ აჯანყების შემდეგ პაულუჩინ ყოველ უწინარეს კახეთში მოსპო ხალხისთვის საძულელი სამაზრო და საერობო სასამართლო და თელავსა და სიღნაღში ისპრავნიკების მაგიერ დანიშნა ორი ქართველი მოურავი და იმათ ჩააბარა ამ მაზრების გამგეობა. გარდა ამისა შეადგინა დროებითი სასამართლო, რომელშიაც ხელმძღვანელობდენ მხოლოდ ვახტანგის კანონებით. ეს სასამართლო არჩევდა ყველა საქმეებს, გარდა მძიმე დანაშაულობისა.

ამ განკარგულებებს რომ ახდენდა, პაულიჩი უეცრივ გაიწვიეს პეტერბურგს და მის ადგილზე დანიშნეს ღენერალი რტიშჩევი. მიწყნარებული არეულობა ხელახლა გაჩაღდა რტიშჩევის მოსვლისთანავე, მაგრამ ახლა აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თავად-აზნაურობამაც და აჯანყებას პოლიტიკური ელფერიც მიეცა. დროებით შემოიღეს სამხედრო წესები, მაგრამ რაკი ხალხი დააწყნარა მთავრობამ, პაულუჩის მიერ განზრახული სასამართლოები ხელახლა აღადგინეს. კახეთის აჯანყებით

ისარგებლა ღენერალმა რტიშჩევმა და ბევრ მოუ-
რავს ჩამოართვა სამოურავო. მათ ადგილს ქართვე-
ლი თავადები დანიშნა, მაგრამ როგორც უბრალო
მოხელეები და არა როგორც მემკვიდრეობით გადამ-
ცემი თავის უფლებისა ერთი თაობიდან მეორეზე.
კახეთის დაცხრომის შემდეგ ბატონიშვილი ალექსან-
დრე თავისი თანამგრძობ თავად-აზნაურებით გად-
მოვიდა ხევსურეთში და დაითანხმა ხევსურები საქარ-
თველოს გვირგვინის მოპოების დახმარებაზე. 1813 წ.
ზაფხულში რუსის ჯარმა გადაიარა კავკასიის მთები,
დაეცა ხევსურებს, გაფანტა შეთქმულები და დაანგრია
რამდენიმე სოფელი. მაგრამ ამის შემდეგაც ხევსურები
ცხოვრობდნენ თავისი შინაურული განწყობილებით ღ
რუსის მართველობას მათზე არავითარი გავლენა არ
ჰქონია.

რაც შეეხება იმერეთს, 1811 წლის აჯანყების
შემდეგ აქ თითქმის დამოუკიდებელ მმართველად
ითვლებოდა ოლქის უფროსი ოთხ ადგილს გამწე-
სებული იყვნენ მაზრის უფროსები, რომელნიც
ჯართან ერთად ჰკრებდნენ ხარკს, ასამართლებდნენ
ხალხს და სდევნიდნენ ავაზაკებს. ამ დროდან და-
წყებული 1840 წ. დამყარებული ადმინისტრაციუ-
ლი წესი თითქმის სრულიად არ შეცვლილა. მხო-
ლოდ რტიშჩევი შეეცადა ცოტაოდნად მაინც შე-
ემსუბუქებია ყმების მდგომარეობა. იმან აღკრძალა
ყმების საზღვარ გარეთ გაყიდვა, განსაკუთრებით
ოსმალეთში, ადგილობრივ ურიებისთვის ყმების
მიყიდვა და დაგირავება, აგრეთვე მათი გაყიდვა

ოჯახის გარეშეცა—სათითაოდ. ამ განკარგულება-სთან ერთად მან გამოაცხადა, რომ ყმები გაეყიდათ მხოლოდ წერილობითი საბუთების დამტკიცებით და ეს აქტი უნდა შემდგარიყო მაზრის უფროსთან.

IV.

რტიშჩევს შემდეგ მთავარმართებლად გამწესებულ იქმნა ერმოლოვი, რომელიც ათი წლის განმავლობაში განაგებდა ჩვენ ქვეყანას. მაგრამ მუდმივ ბრძოლაში და ომებში იყო გართული, ასე რომ ქვეყნის მოქალაქეობრივ ცხოვრების მოსაწყობად მას ნაკლებად ეცალა. მიუხედავად ამისა, მისი დრო უნდა ჩავთვალოთ რუსების ნამდვილ დამკვიდრების დროდ ჩვენში. თუ აქამდე ცდილობდნენ ადგილობრივი ძლიერი ელემენტები დაყვავებით, საჩუქრებით მიეზიდათ, დღეიდან ასეთი გარჩევა ისპობა. რუსის მთავრობამ იგრძნო, რომ ის მკვიდრად იდგა საქართველოს ნიადაგზე და ამიტომაც ადგილობრივ მცხოვრებთ შეჰხენდა, როგორც უბრალო თავის ქვეშევრდომთ. დღეიდან მოისპო ყოველი განსაკუთრებული ყურადღება.

წინანდელ დროში სამღვდელოება ჩვენში მეტად მრავალი იყო. ერმოლოვმა შეამცირა სასულიერო პირთა რიცხვი. გარდა ამისა საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი ერთეული იყო. ამიტომ მას მართლ-მადიდებელ ეკლესიებს შორის ჰქონდა ზოგიერთი თავისებურება, რომელიც იყო შემდეგი:

საქართველოს თავისებური კულტურული ცხოვრებისა. ერმოლოვმა ქართველ სამღვდელოებას დაუნიშნა რუსის ეგზარხოსი და ამით იგი დაუმორჩილა უმართველეს სინოდს. სასულიერო წოდებას ჩამოერთვა აგრეთვე საეკლესიო გლეხების მართვა; ამასთანავე მოშორდნ საეკლესიო აზნაურებიც და სახაზინოდ ჩაირიცხენ. ამავე დროს თავად-აზნაურობამ დაანება თავი ძველებურ ცხოვრებაზე ოცნებობას, შეურიგდა ახალ წყობილებას და სახელმწიფო სამსახურის ძებნას გაფაციცებით მიჰყო ხელი. ამით ფეოდალურმა წოდებამ დაჰკარგა თავისი რაინდული მისწრაფებანი, წელში მოიკაკვა და ბიუროკრატიის უღელში შეება.

მთელს თავის ღონეს ერმოლოვი მოქალაქეობრივ გამგეობაში ახმარდა მოხელეების გაუმჯობესებას, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა. რუსეთიდან მოდიოდა აქ უვარგისი ელემენტი, ხალხი უბინაო და თავის სამშობლოსთან ყოველი კავშირის და ტრადიციის უარყოფელი. მხოლოდ 1822 წელს დაინიშნა საქართველოს პროკურორად ქკუიანი და პატიოსანი ჩაფიაკვი. მისი წინადადებით მას მოემატა ორი გუბერნიის პროკურორი და ექვსი სამაზრო სტრიაპჩი. იმავე ჩილიაფვის და სხვ. დახმარებით დასრულდა ვახტანგის კანონების თარგმნა, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1826 წელს სენატს ებრძანა ეს თარგმანი მიეღო სახელ-მძღვანელოდ. ამნაირად 18 წლის განმავ-

ლობაში გაურჩევლად დატოვებულ სააპელაციო საქმეებს დაუწყეს გარჩევა. მაგრამ სენატი აქ მეორე უხერხულობაში ჩავარდა. ვახტანგის კანონები ჩვენი ცხოვრებისათვის უკვე დაძველდა, ცხოვრებამ წამოაყენა ბევრი ახალი ჩვეულება, საჭირო იყო ჩვეულებასთან შესაფერად კანონის შეცვლა. ეს საქმეც ერმოლოვმა დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ვარონცოვის დროს დასრულდა. ერმოლოვმავე დააარსა თავად-აზნაურობის დებუტატთა საკრებულო და ამით დაუდვა საფუძველი თავად-აზნაურობის სიის შედგენას. რაც შეეხება გლეხობას, ამათი მდგომარეობა თუ უკან არ წასულა, გაუმჯობესობით არ გაუმჯობესებულა. ამას ხელს უშლიდა, რასაკვირველია, ის გარემოება, რომ რუსეთში ბატონ-ყმობა ამ დროს სრულ თავის ძალაში იყო და რა მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ჩვენი გლეხებისათვის რაიმე განსაკუთრებული ზომები მიეღოთ. გლეხები ისევ ვახტანგის კანონით განაგებდნენ, სადაც ნათქვამია: „გლეხი და ყველაფერი, რაც კი მას აბადია, ბატონს ეკუთვნის“. გარდა ამისა ისეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერმოლოვის დროს გაძლიერდა ცარიელი ადგილების უცხო ხალხით დასახლება. უკანასკნელ ქართველ ძეგვების დროს და რუსეთის გამგეობის პირველ ხანებში ქვეყანამ იმდენი დარბევა და უბედურება გამოცადა, რომ სანახევროდ მაინც დაცარიელდა. ბევრი გადასახლდა უცხო ქვეყნებში, ბევრი ამოწყდა,

დაიცალა ისეთი დასახელებული ადგილები, როგორც ლორი, სომხეთი, წალკის მიდამოები და სხვა. ერმოლოვი ურიგებდა კერძო პირებს მიწას იმ პირობით, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ზედ დასახლებულიყვნენ.

ერმოლოვს მოჰყვა გრაფი პასკევიჩი, რომელიც განაგებდა ქვეყანას ოთხ წელიწადს. მის დროს რუსეთი ომობდა სპარსეთთან და ოსმალეთთან, ასე რომ სამოქალაქო საქმეებზე შესაფერი დაკვირვება მთავარმართებელს არ შეეძლო, ამიტომ არც ისეთი კვალი დაუტოვებია. პასკევიჩს აზრად ჰქონდა ხელი შეეწყო ადგილობრივ კულტურის და მრეწველობის განვითარებისთვის. 1828 წლიდან გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენაზე ყოველკვირეული მთავრობის გაზეთი, სახელწოდებით „უწყებანი“. ამ გაზეთში იბეჭდებოდა სამხედრო ამბები და საზოგადოდ ყველა ის ცნობები, რომელნიც ეთანხმებოდნენ მთავრობის განზრახვას მთავრობის დაწესებულებებში არსებითი ცვლილება, გარეგან წესწყობილობაში არ მოუხდენიათ, სამაგიეროდ ყველა კოლეგიალურ დაწესებულებაში შეამცირეს ადგილობრივი თავადობა და გაამრავლეს რუსის მოხელეების რიცხვი. საზოგადოდ პასკევიჩის განზრახვა იყო ადგილობრივი ელემენტის სახელმწიფო დაწესებულებებიდან გამოძევებასთან ერთად ქართული უფლებების გაუქმება და რუსული უფლებების შემოღება. სხვათა შორის ძალიან აწეწილ-დაწეწილი იყო კერძო უფლებრივი ურთიერთობა. ვინ იყო თავადი, ახნა-

ური, გლეხი, ვის ეკუთვნოდა ეს თუ ის მამული? ეს ძირითადი კითხვები მაშინდელი დროისა გამოურკვეველი იყო. სხვა-და-სხვა კომისიები მუშაობდნენ, მაგრამ აქაც სიყალბემ იჩინა თავი. 1830 წ. აღმოჩნდა, რომ ტფილისში რამდენიმე კაცი ყალბ სიგელების დამზადებას ეწეოდა. ამან შეაფერხა საქმე, — გამოიწვია კომისიების დანიშვნა და საქმის დიდი ხნით გაჭიანურება

1831 წ. პასკევიჩის მაგიერ დანიშნა ბარონი რაზენი. ამ ხანებში პოლონეთში აჯანყება მოხდა. ამ მოვლენამ ააღელვა ზოგი ახალგაზდა ქართველი. საუკეთესო ახალგაზდობას დაებადა დამოუკიდებლობის სურვილი. შეთქმულობის თვალსაჩინო მონაწილე იყო იულონის შვილი ბატონი შვიდი დიმიტრი ის აღზრდილი იყო პეტერბურგში, სადაც მუდმივ ცხოვრობდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული მაინც ძლიერი იყო მასში. ამ გატაცებულ კაცს დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგში მოსწავლე ახალგაზდა ქართველებზე. შეთქმულობის მოთავე იყო ფიცხელი 23 წლის პორუჩიკი ედიზბარ ერისთავი. პოლონეთის აჯანყების შემდეგ ის მუდმივ აქეზებდა ქართველებს: „ავეჯანყდეთ მოთავრობის წინააღმდეგო“. მან ადვილად მიიმხრო რამდენიმე ახალგაზდა თავადი, მათში ჩვიდმეტი წლის პოეტი გიორგი ერისთავი და მამუკა რაზენიანი. ელიზბარს პირობა მისცეს ამ თავადებმა, შევიაარალებთ ჩვენ კაცებსო, და დააწყეს თადარიგი აჯანყების „პირველი ღამის“ შესახებ.

დეკემბერში უნდა მომხდარიყო თავად-აზნაურობის კრება; უნდა ესარგებლათ ამ შემთხვევით და თავად-აზნაურობის სახელით გაემართათ მეჯლისი, რომელზედაც უნდა მიეწვიათ ყველა რუსის მოხელეები. როცა ანიშნებდენ, დარეოდენ ამათ და სულ ყველა ამოეელიტათ. მერე აეტეხათ ზარის რეკა და აეჯანყებიათ ხალხი. მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ელირსა. — მოთავენი გასცა იესე ფაღაჯან-დიშვილმა. ხელმწიფე ლმობიერებით მოეპყრო დამნაშავეთ. დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგიდან სმოლენსკში გადაასახლეს. ელიზბარერისთავი გაასაღდათეს და ფილანდიაში გაგზავნეს სამსახურში.

V

აქამდის ჩვენ უმეტესად ლაპარაკი გვქონდა ქართლ-კახეთსა და იმერეთზე. ახლა გადავიდეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილებზედაც. გურიაში რუსის მთავრობა დამკვიდრდა 1818 წელს პასკევიჩის მთავარმართებლობის დროს, როცა დედოფალი სოფიო თავისი ახლობლებით ოსმალეთს გადაიხვეწა. პატარა გურიას ეჭირა 1900 ოთხკუთხე ვერსი, სადაც ცხოვრობდა ორივე სქესის 40 ათასი სული. ალექსანდრე მეფემდე გურია შეადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს. ამას შემდეგ კი საქართველოს დანარჩენ ნაწილებსავეთ გურიაც გამოიყო და შეადგინა ცალკე სამთავრო, რომელიც ხშირად ან ოსმალეთის დამოკიდებულებაში იყო ან

იმერეთის. ენით, ზნეჩვეულებით, კანონებით და პოლიტიკურ განწყობილებით გურიას არავითარი შესამჩნევი თავისებურობა არ ჰქონია დანარჩენ საქართველოსთან შედარებით. ამ კუთხის მმართველი იყო მთავარი, რომელსაც ეძახდნენ ხელმწიფეს, მეფეს. ხალხში იგივე წოდებრივი განწყობილება იყო, რაც დანარჩენ საქართველოში. მე-XIX საუკუნის დასაწყისში გურიის მთავარი იყო შამია გუჩიელი, ხოლო მისი მცირეწლოვანობის გამო ქვეყანას განაგებდა ბიძა მისი ქაიხოსრო. ეს ხანა გურიისთვის დიდი უბედური ხანა იყო ერთი მხრით ქვეყანას იკლებდნენ ოსმალთა ბრბონი, მეორე მხრით ფეოდალები არ ემორჩილებოდნენ მთავარს, შეიხიზნებოდნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში, აოხრებდნენ მხარეს და ტყვეებს ჰყიდდნენ ოსმალეთში. ქაიხოსრო მეტად გამჭირახი კაცი იყო, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქვეყნის დამრბეველთ, ზოგი ძალით, ზოგიც ცბიერობით და ხერხით სძლია, დაანგრია მათი თავშესაფარი ციხეები და ანაირად მთავრის ძალა გააძლიერა და დაამკვიდრა. ასე განწყობილი ქვეყანა ჩააბარა მან მამიას. 1810 წელს მამიამ სთხოვა რუსის მთავრობას, ჩემი სამთავრო თქვენს მფარველობის ქვეშ მიიღეთო. რუსის მთავრობა დათანხმდა, ხოლო მამიას და მის მემკვიდრეებს დაუპტიცდა გურიის მთავრობის უფლება. 1826 წელს მამია გარდაიცვალა. მას დარჩა რვა წლის მემკვიდრე და ვითი და დედოფალი სოფიო. თავადებმა და

აზნაურებმა მაშინვე შეჰფიცეს დავითს და დედოფალ სოფიოს, რომელმაც ხელი მოჰკიდა სამთავროს გამგებლობას. ამის შემდეგ იმპერატორის სიგელით დავითი დამკვიდრებულ იქმნა გურიის ტახტზე, ხოლო სანამ ის წლოვანი გახდებოდა, მანამდე წინადადება მიეცა დედოფალ სოფიოს ამოერჩია ექვსი რუსების მომხრე პირი, მათგან შეედგინა საბჭო თავისი თავმჯდომარეობით და ამ საბჭოს შემწეობით განეგო ქვეყანა. ეს განკარგულება მოხდა ერმოლოვის წინადადებით მისი სურვილი იყო — მოესპო გურიაში ავტონომია. ის ვერ ენდობოდა გამჭირაბ დედოფალსა, არ მიაჩნდა რუსთათვის სანდო პირად. დედოფალს კი გურიის დამოუკიდებლად მართვა უნდოდა, თავად-აზნაურობის უმეტესობაც დედოფალის მომხრე იყო და ახალ წყობილების გამო აშკარად აცხადებდა თავის უკმაყოფილებას. მაგრამ ერმოლოვმა მაინც მოითხოვა საბჭოს შედგენა. დედოფალი მაინც სრულიად უყურადღებოდ სტოვებდა საბჭოს გადაწყვეტილებათ და დამოუკიდებლად განაგებდა თავის სამთავროს. რუსის მთავრობა უკმაყოფილო იყო ასეთი გარემოებით, გაიმართა მოლაპარაკება; მაგრამ არც ერთი მხარე არ უთმობდა. საქმე ასე გაგრძელდა რუს-ოსმალის ომამდე. ამ ომის დროს დედოფალი მიემხრო ოსმალეთს, მაგრამ ოსმალნი ძლიერ იქმნენ. მაშინ დედოფალი გაიქცა შვილებით და რამდენიმე თავადით ტრაპიზონში. აქ შეწყდა გურიის დამოუ-

კიდებელი არსებობა. 1838 წელს ახალგაზდა გუ-
რიელმა უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებაზე,
მაშინ უმაღლესი განკარგულებით მთავარს ჩამოერთვა
ყოველი უფლება ღ გურია შეუერთეს რუსეთს. პასკე-
ვიჩმა შეადგინა დროებითი მთავრობა, სადაც თავმ-
ჯდომარე იყო რუსის აფიცერი, წევრებად კი ოთხი
ადგილობრივ თავადთა შორის არჩეული დივანბეგი.
ისინი განაგებდნენ გურიის ყველა საქმეებს, როგორც
მოქალაქეობრივს, ისე სისხლის სამართლისას. ასე-
თი წესი შეუცვლელად დარჩა 1840 წლამდე.

გადავიდეთ საათაბაგოზე. რუსეთს ადრიანო-
პოლის ხელშეკრულებით ერგო ოსმალეთისაგან
ახალციხის საფაშოს ნაწილი. ეს ტერიტორია მე-XI
საუკუნიდან მესხეთის, ზემო-ქართლის და შემდეგ
სათაბაგოს სახელით შეადგენდა საქართველოს ნა-
წილს. მას განაგებდნენ ერისთავები, რომელთაც
მე-XIV საუკუნეში დაერქვათ ათაბაგები. ამავე საუ-
კუნის გასულს ათაბაგებმა მოიშორეს თავიდან ყო-
ველივე დამოკიდებულება საქართველოს მეფისაგან
და თავის სამთავროს განაგებდნენ დამოუკიდებლად.
შემდეგ მცირე აზიაში გამოჩნდნენ სელჯუკები. მათი
გამოჩენა საათაბაგოს დამლუპველი დარჩა. ჯერ
სათაბაგო ვასალურად დაემორჩილა ოსმალეთს,
ხოლო 1625 წ. ახალციხე სრულიად დაიპყრეს ოსმა-
ლებმა და საათაბაგო შეუერთეს თავის სახელმწიფოს
ახალციხის საფაშოს სახელით. ოსმალებმა ყველა
ქართველ თავადებს და აზნაურებს უბოძეს ბეგობა ღ
დაუცვეს ზოგიერთი უპირატესობანი მიწის მფლობე-

ბელობაში. ხოლო მოსპეს ბატონ-ყმოზა, ესე იგი ბატონის და ყმის პირადი დამოკიდებულება. ამ ღონისძიებით იმათ შეასუსტეს უმაღლესი წოდების ძალა იმ წოდების, რომელიც უფრო მტრულად ეპყრობოდა მაჰმადიანობას. ოსმალებმა დაიწყეს თავისი ენის, ტანისამოსის და სარწმუნოების გავრცელება ქართველთა შორის; გლეხების წრიდან წამოსწიეს სამსახურის პირები, რომლებსაც ხშირად აჯილდოვებდნენ და ბეგობასაც კი აძლევდნენ. ასეთი ხერხით ოსმალებმა მიიზიდეს დაბალი წოდება და მხოლოდ ამის შემდეგ ბევრად თუ ცოტად ცხადი დევნა დაუწყეს მემამულე თავად-აზნაურობას, რომელიც უფრო ეწინააღმდეგებოდა მათ გავლენას. ყველა ამ ზომების შემწეობით იმათ ქართველობის დიდ უმეტესობას მიაღებინეს მაჰმადიანობა, მაგრამ გამაჰმადიანებულმა ქართველობამ მაინც დაიცვა დღემდის თავისი ენა და ზნე-ჩვეულებანი.

ახალციხის საფაშოს შეადგენდნენ არა მარტო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, არამედ, მთელი ჩოლოქის ხეობაც, რომელიც რუსეთს ერგო ბერლინის ტრაქტატის ძალით, ოსმალებთან უკანასკნელ ომის შემდეგ. ოსმალოს ხელში საფაშო გაყოფილი იყო 24 სანჯაყად, თითოეულ სანჯაყს განაგებდა სანჯაყ-ბეგი, რომელიც დამოკიდებული იყო ახალციხის ფაშისაგან, ხოლო ახალციხის ფაშა ემორჩილებოდა არზრუმის სერასკირს და ამისგან დიდ ვეზირს და სულთანს. მაგრამ რაკი ფაშობა

შემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე, ამიტომ ახალციხის ფაშები თითქმის დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და ხშირად სულთანის მთავრობას გარეშე პოლიტიკაშიაც არ დაეკითხებოდნენ. ბეგებიც ფაშას ხშირად არ ემორჩილებოდნენ, როგორც, მაგალითად, აჭარის ბეგი. ოსმალოს მთავრობამ ქვეყნის დაპყრობისთანავე შეათასა მამულები და მეხუთედი შემოსავლისა ხარკად დაადო ხალხს.

მაშინვე (1828 წ.), როგორც კი რუსებმა აიღეს ახალციხე, ზასკევიჩმა დააწესა იქ ოლქის მართველობა ღენერალ ბებუთოვის თავმჯდომარეობით. რუსების დამკვიდრებამ აქ სომხებს სამოთხე გადაუშალა. მაშინვე ადგილობრივი მცხოვრებნი, მაჰმადიანი ქართველები აიბარგენ და ათასობით გადაიხვეწენ ოსმალეთში. მათ მაგიერ ოსმალეთიდან შემოცვივდნენ სომხები, რომელთაც მთავრობა ერთდროულად აძლევდა ოც-და-ხუთ მანეთს, მამულს და გარდა ამისა ექვსი წლით ყოველი გარდასახადისაგან ანთავისუფლებდა: აზრუმის და ყარსის საფაშოებიდან 90 ათასი სომეხი შემოვიდა ჩვენში; დაარსეს მათთვის საგანგებო ახალშენთა კომიტეტი და მთავრობამ დაურიგა მათ ოხრად დარჩენილი მამულები. 1832 წელს გადასახლ-გადმოსახლება მიწყნარდა. შეუდგენ ხალხის აღწერას. აღმოჩნდა, რომ ყოფილ საფაშოში ორმოცდა ათი ათასამდე მცხოვრები აღარ იყო, მაშინ როდესაც რუსების შემოსვლამდე 50 ათასი კაცი მარტო ახალციხეში

ცხოვრობდა. მასთან ერთად ძირიანად შეიცვალა მცხოვრებთა ეროვნული სახე. წინეთ სულ ქართველები ესახლენ, ხოლო აქა-იქ მოსული ოსმალები იყვენ დაბინავებული. ახლა კი უმეტესობა სომხობა დარჩა, ქართველობას კი მხოლოდ მეორე ადგილი ერგუნა. პასკევიჩის მიერ შემოღებული მართვის წესი დარჩა 1840 წლამდე უცვლელად, მხოლოდ გაქცეულ ბეგების ადგილებზე რუსის ოფიცრები დააყენეს.

VI

1837 წელს 10 დეკემბერს მთავარმართებლად დანიშნა ლერენალი გოლოვინი. გოლოვინის დანიშვნით დამთავრდა პირველი ხანა რუსეთის გაბატონებისა ჩვენში, მთელ ამ ხანის დამახასიათებელია უქონლობა არამც თუ რაიმე გარკვეული გეგმისა, არამედ რაოდენამდე ნათლად დასახულო მოქალაქეობრივ მართვის მიზნისა. ყოველ მთავარმართებელს თავისებურად ესმოდა საქმე, თითოეული მათგანი თავისი შეხედულობით მოქმედებდა. მაინც ყველა ამ პირთ პოლიტიკა ორ რიგად შეგვიძლია გავყოთ. პირველნი, უფრო ჩახედულნი ხალხის ცხოვრებაში, ამბობდენ: საჭიროა გამგეობის წესითანხმებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას, ხალხის ზნე-ჩვეულებას და მოთხოვნილებასო. მეორენი კი, პირ-იქით, ამტკიცებდენ, — საჭიროა სავსებით და უცვლელად შემოვიღოთ ყველა რუსეთის დაწესებულებანი, როგორც პროგრესის ფაქტორიო. აი,

ამ ორ უკიდურეს მიმართულებათა შორის ირყეოდა ქვეყნის გამგეობის საქმე. უკანასკნელმა აზრმა შინც გაიმარჯვა უმაღლეს სფერაში და 1841 წელს შემოიღეს საქართველოშია ცველა რუსეთის დაწესებულებანი. ამიერ-კავკასია გაყვეს გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად და გადმოიტანეს რუსეთის გუბერნიების მართვის მექანიზმი. მაგრამ ოთხი წელიც არ გასულა, რომ ეს მექანიზმი თავისთავად დაირღვა ჩვენში, — შეუძლებელი დარჩა მისი საღსებით ჩვენ ცხოვრებაში გამოყენება. ძირითადი ნაკლი ახლად შემოდებულ მართვის წესისა ის იყო, რომ ხალხის მართვიდან სრულიად გაძევებულ იქმნა ადგილობრივი ელემენტი და მეორეც — სასამართლო სრულიად ეწინააღმდეგებოდა ხალხის ათასი წლობით შექმნილ ტრადიციებს. ამიტომ, რასაკვირველია, ცხოვრებამ სძლია შეუფერებელ მართვის მექანიზმს და ეს უკანასკნელი პრაქტიკულ მოქმედებაში თან-და-თან ირღვეოდა და იცვლებოდა. გოლოვინის და შემდეგ ნიეგარდის მართვამ ამ რყევაში გაიარა. მათ ვერ გაირკვიეს საკმაოდ ჩვენი ქვეყნის მართვის საკითხი.

ამნაირად კავკასიამ იმსხვერპლა გამოჩენილ რუსთა ერმოლოვის, როზენის, გოლოვინის და სხვების რეპუტაცია. იმპერატორს მეტად აწუხებდა ეს გარემოება, ბევრი ფიქრის შემდეგ მიმართა ცნობილ მხედარს და გამოჩენილ სახელმწიფო ადამიანს მიხეილ ფორენცოვს. ვორონცოვს, როგორც

კავკასიის ნამესტნიკს, მიეცა ყველა მინისტრების უფლება და გარდა ამისა ადგილობრივ ყველა საქირო ღონისძიებათა შემოღების უფლება. ვორონ-ცოვი მოვიდა თავის ადგილზე 1845 წ. 26 მარტს.

ვორონცოვს თავის სამშობლოსათვის უყვარდა ჩვენი მხარე და სიყვარულით და ერთგულებით განაგებდა მას. მისი ზრუნვის თავი მიზანი იყო ადგილობრივ მცხოვრებთა სიკეთე და ბედნიერება. მას კარგად ესმოდა, რომ უწინარეს ყოვლისა საქირო იყო ადგილობრივი ელემენტი დაეახლოვებია რუსეთისათვის; ეს უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად, ძალდაუტანებლად, კულტურულად. „ძალდატანებითი ზომები არამც თუ სარგებლობას არ მოიტანენ, პირიქით, შეუძლიათ ცუდი შედეგებიც გამოიწვიონო“, მოახსენა მან იმპერატორს. ამიტომ იმან თავიდანვე მიჰყო ხელი კულტურულ შრომას. გააკეთა ახალი გზები, კავკავის გზა შეაკეთა და გარდა ამისა გაიყვანა კავკასიონის ქედზე იმერეთის სამხედრო გზა, დაითანხმა მოსკოვის და პეტერბურგის ვაჭრები და გახსნა ტფილისში საქონლის საწყობები; ბევრ ახალგაზრდას შეძლევდა მისცარუსეთში განათლების მიღებისა, დააარსა კავკასიაში გიმნაზიები, სახელოსნო და სახალხო სკოლები. ხელს უწყობდა მრეწველობის ყოველ დარგს, გამოიწერა რუსეთიდან დახელოვნებული მკოდნე პირები, გაუმჯობესებული იარაღები; გახსნა ბაზრები, გაავრცელა ხალხში ხეხილის გაუმჯობესებული

ჯიშები, აღმოაჩინა მადნეულებანი და სხვა-და-სხვა. გარდა ამისა იგი ძალიან ზრუნავდა ხალხის გონებრივ განვითარებაზედაც. დააარსა გაზეთი, მშვენიერი საოპერო და დრამატული თეატრი; სხვათა შორის მისივე მფარველობით გაჩნდა პირველი ქართული თეატრი. ერთი სიტყვით ვორონცოვში ჩვენ ვხედავთ შეგნებულ ევროპიელ პოლიტიკოსს, რომელიც ხალხის გულს იგებს არა შიშით და დევნით, არამედ მამობრივი დაყვავებით და სერიოზული ზომებით. და რა გასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ კავკასიამ დაუდგა მას ძეგლი ტფილისში. ვორონცოვმა შეადგინა თავად-აზნაურთა სია და იმერეთის და გურიის თავად აზნაურთ უბრძანა აერჩიათ წინამძღოლები, აგრეთვე დააარსა ქუთაისის დეპუტატთა საკრებულო. თავად-აზნაურობის საკითხის გაწესიერებასთან ერთად ვორონცოვის ყურადღება მიიპყრო გლეხების მდგომარეობამაც. ბატონს და გლეხს შორის დამოკიდებულება, დამყარებული ჩვეულებაზე, სხვა-და-სხვა კუთხეში სხვა-და-სხვა ნაირი იყო. გარკვეული კანონი არ სჩანდა, ამიტომ გლეხი მოკლებული იყო მთავრობის მფარველობას. ვორონცოვს სურდა გაერკვია ეს ურთიერთი დამოკიდებულება და ერთ კალაპოტში ჩაეყენებია ბატონყმური ურთიერთობა. მასთან მისი სურვილი იყო გლეხებისათვის ტვირთი შეემსუბუქებია. ვორონცოვმა მიანდო ამ საქმის გამოკვლევა უმთავრეს გამგეობის საბჭოს, რომელ-

მაც ისეთი პროექტი შეიმუშავა, რომ გლეხების მდგომარეობას კი არ აუმჯობესებდა, პირიქით, უარესად ხდიდა. ვორონცოვს არ მოეწონა ეს პროექტი და ზედ დააწერა: „არ შეჰფერის ჩვენი დროის მიდრეკილებათ“. ეს პროექტი უყურადღებოდ დასტოვეს.

ვორონცოვის დროს რუსეთს შეუერთდა სამურზაყანო და წებელდა. მხოლოდ ამ უკანასკნელის მცხოვრებნი რუს-ოსმალოს ომის შემდეგ აიყარენ და სულ გადაიხვეწენ ოსმალეთში. მათ ათხრებულ მიდამოზე მხოლოდ 27 ოჯახი დარჩა.

ვორონცოვს შემდეგ კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა მუჩაფიფი, რომელიც მხოლოდ წელიწად ნახევარს მსახურებდა და ჩვენ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში არავითარი შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. მას მოჰყვა თავადი ბარიათინსკი, რომელსაც ძალიან ენდობოდა ახალგაზდა იმპერატორი. ბარიათინსკის ნება მიეცა ყოველი ახალი საჭირო წესები და ცვლილებანი გამგეობაში თვითონ შემოედო თავის ძალით. ამნაირად ის თავისუფალი იყო მინისტრების დამოკიდებულებისაგან და ჩვენს მხარეს თავის ნებაზე განაგებდა.

მოქალაქეობრივი მართველობის მხრივ ბარიათინსკის დიდ ღვაწლად უნდა ჩათვალოს გამიჯვნის საქმის მოწყობა. მიწათ მფლობელობა ჩვენში ძალიან აწეწილ-დაწეწილი იყო, არავინ იცოდა თავისი მამულის საზღვრები, ხაზინა ედაგებოდა

კერძო პირებს, მემამულეები ედავებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ ბარიათინსკიმ დააარსა ამიერ-კავკასიის სამიჯნავო პალატა. მას აგრეთვე აზრათ ჰქონდა ძირიანად შეეცვალა სასამართლოს მოწყობილობაც. ის ამბობს: „რუსეთის სასამართლოს მოწყობილობის სხვა ნიადაგზე გადმოტანამ აღმოაჩინა საოცარი მისი ნაკლულოვებანიო“, მაგრამ ამ დროს რუსეთში საერთო რეფორმას მოელოდნენ და ამიტომ ბარიათინსკის წადილი ვერ შესრულდა. ბარიათინსკიმვე დააწესა საერობო დარაჯები და სასტატისტიკო კომიტეტი. 6 დეკემბერს 1862 წ. ბარიათინსკიმ დაანება თავი თავის თანამდებობას და მის ადგილზე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დაინიშნა.

VII

დასასრულლ გავიცნოთ ავტონომიის მოსპობის მოკლე ისტორია იმ ჩვენი კუთხეებისაც, რომელთაც ყველაზე უფრო დიდხანს შერჩათ თვით-არსებობა. ესენია სამეგრელო და სვანეთი.

სამეგრელოს უჭირავს 5550 ოთხ-კუთხი ვერსტი. აქ ცხოვრობდა რუსების შემოსვლის დროს 127 ათასი კაცი. საქართველოს მეფის ალექსანდრე I-დის სამეგრელო შეადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს. ამის შემდეგ ის გახდა იმერეთის სამეფოს ნაწილი, მაგრამ ჩქარა იმას გამოეყო და დამოუკიდებელი სამთავრო შეადგინა დადიანების

მთავრობით. მოქალაქეობრივი განწყობილებით და სარწმუნოებით მეგრელები არ განირჩეოდნენ სხვა ქართველებისაგან, განსაკუთრებით იმერლებისაგან. 1774 წლამდე სამეგრელო, აგრეთვე გურია, იმერეთი და აფხაზეთი იყვნენ სულთანის ვასალურ დამოკიდებულებაში და აძლევდნენ მას სამარცხვინო ხარკს „ვაჟებით და ქალებით“. ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის ძალით ისინი განთავისუფლდნენ ამ ხარკისაგან და დამოუკიდებლად იქმნენ ცნობილი. მაგრამ 1803 წელს გრიგოლ დადიანი წაეკიდა იმერეთის მეფეს სოლომონს ლეჩხუმის გამო. რაკი თვითონ თავის თავს სუსტად ცნობდა, მიმართა რუსის იმპერატორს და სთხოვა, შენს მფარველობის ქვეშ მიმიღეო. რუსეთმა მიიღო ის და მთელი მისი სამთავრო ვასალურ დამოკიდებულებაში. მალე გრიგოლი მოკვდა და ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი შვილი ჯეჯანი. ლევანმა დაუთმო რუსებს ორი ადგილი ზღვის პირას: ანაკლია და რედუტკალე, სადაც რუსებმა საბაჟეთი (დამოქნა) გააყეთეს. ამ დათმობის მაგიერ დადიანს წლიურად თორმეტი ათასი მანათი ეძლეოდა. ლევანი გალალდა, ის ნაკლებად ფიქრობდა ქვეყნის მართვაზე, მიეცა განცხრომას და ლოცავდა რუსებს, რომ ასეთი ლუკმა გაუჩინეს. თავის შვილებს ზრდიდა რუსეთში.

1842 წელს სამეგრელოს მთავრად გახდა ლევანის შვილი ჯავითი. ის გრძნობდა, რომ სამეგრელოს თვით-არსებობა ხანგრძლივი არ იქნებოდა

და შემდეგ მის შვილებს მხოლოდ საკუთარი მისი მამული დარჩებოდათ. ამიტომ მთელი თავისი ძალ-ლონე მოახმარა საკუთარი მამულების გაფართოებას. უსამართლო მოქმედებით მან შეიძინა ბევრი მტერი და თვითონ გამოუთხარა უკანასკნელი საფუძველი თავის ქვეყნის თვით-არსებობას. 1853 წელს დავითი გარდაიცვალა, მემკვიდრე მისი ნიკოლოზ ამ დროს შვიდი წლის იყო. სამეგრელოს გამგედ ვორონცოვის წინადადებით დანიშნულ იქმნა დედოფალი და მის დამხმარედ საბჭო, რომელსაც შეადგენდნენ გარდაცვლილ მთავრის ძმები და სამეგრელოს ეპისკოპოსი. ეპისკოპოსმა უარი განაცხადა მართვაში მონაწილეობაზე. თავადებში თვალსაჩინო იყო გრიგოლ დადიანი, რომელიც ემტერებოდა დედოფალს და შუდმივ ჩუმჩუმად მის წინააღმდეგ მოქმედებდა. დედოფალმა განაგრძო თავისი ქმრის პოლიტიკა და იქამდის მივიდა, რომ ეკლესიებსაც ართმევდა მამულებს. 1856 წელს ის მიიწვიეს პეტერბურგს გვირგვინის კურთხევის დღესასწაულზე. დაბრუნებისას ნახა, რომ მთელ სამეგრელოში გლეხების აჯანყებაა. ეს აჯანყება საოცრად უმნიშვნელო ფაქტიდან დაიწყო. საუფლისწულო მამულების გამგე ჩიქოვანმა გადასწყვიტა სადახლოში სასახლის აგება. გამოიწვია საუფლისწულო გლეხები, რომელთაც, ჩვეულების წინააღმდეგ, სარჩო არ მისცა. გლეხებმა თვითონ მიიტანეს პური, მაგრამ არც დასაფქვავად წისქვილი ათხოვა. მაშინ გლეხებმა პირი

მისცეს ერთმანეთს და მუშაობაზე ხელი აიღეს. ეს მოძრაობა მთელ გლეხობას მოედო და მალე იმათ ერთმანეთს შეეციცეს, არაფერი გაეკეთებიათ თავისი ბატონებისთვის, სანამ ზოგიერთ ძალმოძრეობაზე ხელს არ აიღებდენ. თავადები და აზნაურები ილუპებოდნენ ასეთი მოძრაობით. მაგრამ მათში ერთობა არ იყო. ამ დროს უკვე შემდგარი იყო სამეგრელოში „რუსების მომხრე“ პარტია, რომელიც აშკარად ცდილობდა ავტონომიის მოსპობას. ამ პარტიაში შედიოდნენ ელიზბარ დადიანი, თავადების გვარეულობანი — ფაღვა, შხეძე, მიქაძე, დგებუაძე და სხვ. 1857 წ. მათში დაბრუნდა დედოფალი. მან დაინახა, რომ აჯანყება მეტად სერიოზული იყო. გლეხებს სრულიად გაენებებიათ თავი კარმიდამოსთვის და თავის ცოლ-შვილით შეედგინათ ჯარი მიქაძეს წინამძღოლობით. ხალხი დადიოდა ჯგუფ-ჯგუფებად, მშვიდობიანად, და წყნარად გაიძახოდა: „ფუფუნება ცოდვაა, სულ ყველა ადამიანები-ძმებია.“ — შეიძლება გლეხებს ამ საქმეში გარეშე პირებიც ხელს უწყობდნენ. დედოფალმა სცადა დაეცხრო ხალხი, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ იძულებული გახდა მიემართა შტიკებისთვის და სთხოვა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს — რამდენიმე როტა სალდათი გამოეგზავნა. გუბერნატორმა კოლუბიაკინმა კარგად იცოდა საქმის მდგომარეობა: ის ხალხის დამშვიდებაზე კი არ ფიქრობა, არამედ იმაზე, თუ როგორ მოესპოს სამეგრელოს ავტონომია. ამიტომ ის თვითონ გაე-

მგზავრა სამეგრელოში სალდათებით. იქ ის იმის მაგიერ, რომ დედოფალს დახმარებოდა, შეუდგა საქმის გამოძიებას. დედოფალი ჯავრობდა, კოლუბიაკინზე გული მოსდიოდა; იმის მაგიერ, რომ ხალხი დააცხროს, ის კოცნის დამნაშავეთ და ისე აჩვენებს, რომ მთავრობა მათ მხარეს არისო. კოლუბიაკინმა უპასუხა: „მე არ შემძლია იარაღი ვიხმარო. იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ჩემ წინ დაჩოქილია. როგორც ჩანს, ბატონ-ყმობას ბოლო ეღება. ცოტა ადრე, თუ გვიან, ეს სულ ერთია, დათმობა აუცილებლად საქირაა“. დედოფალმა უპასუხა: რაღა სამეგრელოდან იწყებთ გმანსიპაციის ცდასო. დედოფლის საჩივრის გამო კოლუბიაკინის ხვადან გადაიყვანეს, გამოგზავნეს დიუკრუასი. ამ დროს ბარიათინსკიმ მიიღო უმაღლესი ნებართვა — დაერღვია სამეგრელოსთან ხელშეკრულება და შემოეღო ახალი მართველობა. მან წინადადება მისცა დედოფალს — აეღო ხელი სამეგრელოს მართვაზე, დედოფალი ნებით არაფრისთვის არ თანხმდებოდა. მაშინ 1857 წელს დედოფალმა მიიღო უმაღლესი რესკრიპტი, რომ გადასახლებულიყო პეტერბურგში „ბავშვების უკეთ აღსაზრდელად“. რაღას იზამდა, იძულებული გახდა სამეგრელოსთვის მიენებებია თავი. შემდეგ, 1867 წელს, როცა ბატონიშვილი ნიკოლოზ სრული წლოვანი გახდა, მან უარი განაცხადა სამეგრელოს მთავრობაზე და ამ ნაირად სრულიად მოისპო. სამეგრელოს ავტონომია.

სამეგრელოდან ჩრდილოეთით ენგურისა და ცხენის წყლის მიდამოებზე, მაღალი მთებით ირგვლივ შემოზღუდული, მდებარეობს სვანეთი, დასახლებული, ქართველთა ტომით სვანებით. სვანები თავის თავს ქრისტიანებად სთვლიან და დარწმუნებული არიან, რომ ქრისტიანობა პირველ საუკუნეშივე გაავრცელა მათში თვით ქრისტემ. მათში ბევრი ეკლესიაა, მაგრამ მართლმადიდებლობასთან ერთად არეულია კერპთ-თაყვანისმცემლობის ტრადიციები, რომელნიც ამ მხარის განკერძოების გამო აქამდის დაცულია. ხალხი დაყოფილია სოფლებად, სადაც ცხოვრება გვარეულობის საფუძველზეა მოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ სვანები ცხოვრობენ გვარეულობით და გაუყოფელ ოჯახებად, მაინც უხსოვარის ხნიდან მათ ამჩნევიათ სახელმწიფურის უფლების ნასახი, ეს იგი ორგანიზაციის მქონე ძალდატანებითი მთავრობის ყოლა. მე-XV საუკუნემდე სვანეთი შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს თავად გეოგრაფების გამგებლობით. გელოვანებმა განავითარეს აქ აზნაურთა ელემენტი და შექმნეს ბატონ-ყმური დამოკიდებულება. საქართველოს სამეფოს დანაწილების შემდეგ სვანეთიც დამოუკიდებელი შეიქმნა და გაიყო სამ ნაწილად, რომელთა მერმინდელი ბედი სხვა და სხვა ნაირი იყო.

სამი საზოგადოება ცხენის წყლის პირზე მდებარე: ლენცები, ჭილური და ლაშხეთი სადაღიანაჲ

სვანეთის სახელით შეუერთდა სამეგრელოს. თერთმეტი საზოგადოება ენგურის, მულხრეს და მათ მიდამოში მდებარე უკვე მე-XV საუკუნეში განთავისუფლდა ბატონ-ყმობისაგან და შეადგინა დამოუკიდებელი საზოგადოება, — თავისუფალ სვანეთის სახელით. აქ თავისუფალმა საზოგადოებებმა მართვის წესი თვითონ შექმნეს დამოუკიდებლად.

მესამე ნაწილი სათავადო სვანეთის სახელით დარჩათ გეგაფანებს, რომელთაც რაღაცა ჯერ გამოურკვეველ გარემოების გამო დადიშქელაინებმა წაართვეს მართვის უფლება. ამ ნაწილში სრული ბატონყმური დამოკიდებულება იყო. თავდა-პირველად რუსეთის მფარველობას სათავადო სვანეთი დაემორჩილა. ურთიერთი შუღლით დაქანცული ერთი მხრით ჩემესუვის ბატონი ელიოზ დადიშქელიანი და მეორე მხრით ბეზოს და ეწერის ბატონი თათარხანი მიიქცენ ბარონ როზენთან და სთხოვეს რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღება. მათი თხოვნა შეიწყნარეს, მაგრამ ამის შემდეგაც მათში შუღლი და მკვლევლობა არ მოსზობილა.

პირველი ინიციატორი სვანეთის ავტონომიის მოსპობისა იყო მეცნიერი ფილოლოგი და შოვინისტი აფიცერი უსლაჩი. ის სულ ეჩიჩინებოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გავაჩინს, — მოსპე სვანეთის ავტონომიაო ამის გამო ბარიათინსკის ბრძანებით და უსლარის მეთაურობით ვაექანა სვანეთისკენ ოთხი მხრიდან რუსის ჯარი.

გაიგო თუ არა ეს თავადმა კონსტანტინემ, მიეგება უსლარს და სთხოვა ჯარი შეეჩერებია. უსლარმა კონსტანტინე ქუთაისს გაგზავნა, თვითონ შეესია სვანეთს. კონსტანტინეს ქუთაისში გარეგნულად კარგად დახვდენ, მაგრამ ისე კი არ ენდობოდენ. მას დაუყენეს მეთვალყურედ ცბიერი ნუმისმატი ბარტოლომე, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა კონსტანტინეს დასალუპავად. ერთხელ მიუგზავნა მას ვიღაც უცნობი კაცი, რომელმაც უჩირა: დაგიწერ წერილს საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ მესამესთან, სთხოვე მას რუსის იმპერატორთან შუამდგომლობაო. ბრძოლით და თრევით დაქანცული კონსტანტინე დათანხმდა. მაშინვე ბარტოლომემ ეს წერილი დაიჭირა და გაგარინს წარუდგინა. გაგარინი აღაშფოთა მისი მოხელის ასეთმა საქციელმა, მაგრამ მაინც ისარგებლა შემთხვევით და ითხოვა, რომ კონსტანტინე ერივანში გადაეყვანათ. საუბედუროდ, კონსტანტინემ ვეღარ აიტანა იმდენი წვალემა, გაფიცდა და სატყვერიო მოუსპო სიცოცხლე გაგარინს და მასთან მყოფ რამდენიმე პირს. ამა მკვლელობის გამო კონსტანტინე დახვრიტეს, ხოლო სადადიშქელიანო სვანეთის ბედი თავის თავად გადაწყდა. თავისუფალმა სვანეთმაც ითხოვა რუსეთის მფარველობა, რომელიც ბოძებულ იქმნა, და ამ ნაირად ბოლოს საქართველოს ყველა ნაწილი დაემორჩილა რუსეთის მთავრობას.

